პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 288 (10682) | ხუთშაბათი, 13 დეკემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

მარქსისტულ-ლენინური თეორია ჩვენი დროშა და იარაღია!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ, რომელიც თვალსაჩინო მოვლენა იყო საბჭოთა ხალხის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ცხოვრებაში, მკაფიოდ გვიჩვენა, თუ რა დიდი მიმზიდველი ძალა აქვს სოციალიზმის იდეებს ყველა ქვეყნის მუშებისათვის, გლეხებისათვის, ინტელიგენციისათვის, მან კიდევ უფრო მაღლა ასწია მსოფლიოში მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშა.

რით გამოიხატება სოციალიზმის იდეების, მარქსისტულ-ლენინური თეორიის მიმზიდველი ძალა?

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება იძლევა სოციალური საკითხის — კაცობრიობის ძირეული საკითხის გადაჭრას. იგი გვიჩვენებს, რომ კლასობრივი უთანასწორობის, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისა და დამონების, მოლიონობით დაბეჩავებული ადამიანის არსებობის ძირითად მიზეზებს შეიცავს წარმოების კაპიტალისტური წესი, ბურჟუაზიული საზოგადოების ბუნება. ექსპლოატატორული საზოგადოებრივ სისტემას ახლა უპირისპირდება ახალი საზოგადოებრივი წყობილება — სოციალიზმი, სადაც წარმოების იარაღებისა და საშუალებების კერძო საკუთრება მოსპობილია და შეცვლილია საზოგადოებრივი საკუთრებით, სადაც არ არის სოციალური უთანასწორობა და ექსპლოატაცია.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება გვიხსნის ერთ-ერთი ურთულესი საზოგადოებრივი საკითხის — ეროვნული საკითხის სრული გადაჭრის გზას. კომუნისტური თეორია აშკარად და მკვეთრად გმობს ეროვნულ უთანასწორობას, იმპერიალისტების მიერ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ჩაგვრისა და ძარცვის ყველა ფორმას, მხურვალედ მიესალმება ხალხთა ბრძოლას კოლონიზატორთა მძარცველური პოლიტიკის წინააღმდეგ და კაცთმოძულე კოლონიური სისტემის მოსპობას. მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებმა მარქსმა და ენგელსმა წამოაყენეს დიადი ინტერნაციონალისტური მოწოდება — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“, რომლის ნიშნით ეს წელზე მეტია წარმატებით მიმდინარეობს რევოლუციური მოძრაობა. ახლანდელ პირობებში ეს მოწოდება განსაკუთრებული ძალით გაისმის და რაზმავს ყველა ქვეყნის მშრომელებს კომუნიზმისათვის საბრძოლველად. ეროვნული და კოლონიური ჩაგვრის სამყაროს ახლა უპირისპირდება ცოცხალი სოციალისტური სამყარო, ყველა ერის მშრომელთა ერთიანობა, თავისუფალ თანასწორუფლებიან ხალხთა მეგობრობა, თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება.

მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება თანამედროვეობის ყველაზე მწვავე საკითხია. ომი სძულს ყველა ხალხს. მარქსისტულ-ლენინური თეორია, გაბედულად ხდის რა ნიღაბს ახალი ომის გამჩაღებლებს, გამოდის მშვიდობის მედროშედ. სოციალიზმის იდეები შეეხიბამება ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის იმედებსა და მისწრაფებებს, ხალხებისა, რომლებსაც არა აქვთ იმაზე უფრო ძლიერი სურვილი, ვიდრე მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების სურვილი.

ჩვენი პარტიის უდიდესი დამსახურება ის არის, რომ მან ყველაზე მოწინავე, ერთად-ერთი სწორი მოძღვრება — მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება მთელი საბჭოთა ხალხის კუთვნილება გახადა, ხალხის ფართო მასები აზიარა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას, დაუცხრომლად ასწავლის მათ სწორად გაერკვნენ ისტორიულ მოვლენებსა და ამბებში, ზრდის მათ თავიანთი სამშობლოსადმი მხურვალე პატრიოტული სიყვარულისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ერთგულების სულისკვეთებით. კომუნიზმის იდეა, როგორც ცოცხალი ცეცხლი, ჩაუქრობლად ანთია საბჭოთა ადამიანების გულში, ხელმძღვანელობს მათს ფიქრებს, გრძნობებსა და მისწრაფებებს, მოუწოდებს ახალი შრომითი გმირობისათვის დიადი მიზნის მისაღწევად.

ბაზგასმით აღნიშნავდა რა მარქსიზმის თეორიის უდიდეს მნიშვნელობას ჩვენი კომუნისტური პარტიის შექმნასა და განვითარებაში, მის წარმატებითს ბრძოლაში, ვ. ი. ლენინი წერდა: „მარქსიზმი, როგორც ერთადერთი სწორი რევოლუციური თეორია, რუსეთმა ჯეშმარიტად **ტანჯვით მოიკოცა** გაუგონარი წამებისა და მსხვერპლის, უმაგალითო რევოლუციური გმირობის, წარმოუდგენელი ენერგიისა და თავდადებული ძიების, სწავლის, პრაქტიკაში გამოცდის, იმედგაცრუების, შემოწმების, ევროპის გამოცდილებასთან შედარების ნახევარი საუკუნის ისტორიით“. სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის თითქმის ორმოცი წლის გამოცდილება, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალისტური მშენებლობის გამოცდილება, მთელ მსოფლიოში კომუნისტური მოძრაობის წარმატებანი ადასტურებენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის სისწორეს.

რუსეთისა და საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის წინაშე დიდი დამსახურება მიუძღვის გ. ვ. პლეხანოვს როგორც რუსეთში მარქსისტული იდეების პირველ გამოჩენილ პროპაგანდისტს და მეცნიერული მატერიალისტური მსოფლმხედველობისათვის მებრძოლს, რომლის დაბადების ასი წლისთავი ფართოდ აღინიშნება ჩვენს ქვეყანაში. იყო რა მარქსისტული თეორიის ღრმა მცოდნე და მისი რევიზიისა და დამახინჯების ცდების წინააღმდეგ მგზნებარე მებრძოლი, პლეხანოვს ამავე დროს მცდარი პოლიტიკური პოზიციები ეკავა ისეთ დიდმნიშვნელოვან ისტორიულ პერიოდებში, როგორიც იყო 1905-1907 წლების რევოლუცია, პირველი იმპერიალისტური ომი, 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. მისი ეს შეცდომები უწინარეს ყოვლისა აიხსნება იმით, რომ მას არ ესმოდა ახალი ეპოქის, როგორც იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის, ხასიათი, არ ესმოდა პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის მნიშვნელობა. პლეხანოვის მოღვაწეობაში სუსტი მხარე იყო თეორიის მოწყვეტა პრაქტიკისაგან, ის, რომ არ შეეძლო შემოქმედებითად გამოეყენებინა მარქსიზმი ახალ ისტორიულ პირობებში. აკრიტიკებდა რა გ. ვ. პლეხანოვის შეცდომებს, გაუგებლობას და სისუსტეს, ჩვენი პარტიის დამაარსებელი ვ. ი. ლენინი ამასთან ერთად არაერთხელ აღნიშნავდა, რომ საჭიროა შევისწავლოთ მისი საუკეთესო მარქსისტული ფილოსოფიური ნაწარმოებნი, რომლებიც ჩვენს დროშიც წარმოადგენენ მარქსისტთა მძლავრ იდეურ იარაღს მტრული ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მარქსიზმის შემდგომ განვითარებაში, იმპერიალიზმის პერიოდში რუსეთის რევოლუციური ბრძოლისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ახალი კონკრეტული ისტორიული ამოცანების მიმართ მარქსისტული თეორიის შემოქმედებითად გამოყენებაში, რევოლუციური პრაქტიკასთან თეორიის შეერთებაში დიდი როლი შეასრულა ვ. ი. ლენინმა. მარქსისტულ მოძღვრებას სამართლიანად უწოდეს მარქსიზმ-ლენინიზმი.

მარქსისტულ-ლენინური თეორია მოქმედების სახელმძღვანელოა, იგი გვინათებდა და კვლავაც გაგვინათებს კომუნიზმის გზას. მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითად განვითარებას, მის ღრმად შესწავლას, მის გამოყენებას კომუნიზმისათვის პრაქტიკულ ბრძოლაში ცხოვრების ახალი გამოცდილებისა და ფაქტების, მისი სიწმინდისათვის ბრძოლის განზოგადების საფუძველზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე პირობებში, როცა სოციალიზმი მსოფლიო სისტემა გაადა. სოციალიზმის მშენებელი თვითეული ქვეყანა ბევრ ახალს იძლევა თავის წინსვლაში და ეს მოითხოვს გულდასმით შესწავლას და თეორიულ განზოგადებას.

ორი მსოფლიო სოციალური სისტემის — კაპიტალიზმისა და სოციალიზმის არსებობა უდავო ისტორიული ფაქტია. ცდილობენ რა შეასუსტონ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების უდიდესი, სულ უფრო მზარდი გავლენა ხალხების შეგნებაზე, ისტორიის მსვლელობაზე, იმპერიალიზმის რეაქციული იდეოლოგები არ ერიდებიან არავითარ ცილისწამებას მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ. კაპიტალიზმის ბედისათვის შიში აიძულებს მის აპოლოგეტებს მიმართონ სხვადასხვა ხრიკს იდეოლოგიურ ბრძოლაში, როგორც ისინი ამბობენ, „ადამიანთა სულისათვის“. მაგრამ თანამედროვე პირობებში იმპერიალიზმის ყველაზე თავგამოდებული მომხრეებიც კი ვერ ბედავენ აშკარად დაიცვან იგი მშრომელთა წინაშე. ისინი აყენებენ მოსატყუებელ ლოზუნგებს „სახალხო კაპიტალიზმის“, „თავისუფალი კაპიტალისტური სამყაროს შესახებ“, გაჰყვირიან „ნაციონალ-კომუნიზმზე“, ყოველნაირად ცდილობენ გამოიყენონ „დახვეწილი ნაციონალიზმი“ და ძირი გამოუთხარონ მშრომელთა ერთიანობას, საერთაშორისო სოლიდარობას.

რეაქციული იდეოლოგიის ცდების მხილება მარქსისტულ-ლენინური თეორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მარქსიზმი გვასწავლის, რომ თეორიული ბრძოლა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა. მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდისათვის ბრძოლას, გააქტიურებული იმპერიალისტური რეაქციისათვის მტკიცე წინააღმდეგობის გაწევას ახლა დიდი მნიშვნელობა ენიჭება კიდევ იმიტომ, რომ დემოკრატიული და კომუნისტური პრესის სხვადასხვა ორგანოს ფურცლებზე იბეჭდება სხვადასხვაგვარი სტატიები, რომელთა ავტორები, ეჭვეიაან რა კომუნიზმისათვის უცხო გავლენის ქვეშ და არ შესწევთ რა უნარი ზოგჯერ სწორად განმარტონ ცხოვრების ახალი მოვლენები, ურიგდებიან მარქსიზმ-ლენინიზმიდან გადახრებს და ამით ეხმარებიან რეაქციას.

მარქსისტულ-ლენინური თეორია ვითარდებოდა და მტკიცდებოდა შეურიგებელ ბრძოლაში რევიზიონიზმის, ოპორტუნიზმისა და მუშათა მოძრაობაში ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის სხვა გამოვლინებათა წინააღმდეგ. ისტორიამ შეარცხვინა მარქსიზმ-ლენინიზმის ყველა დამმახინჯებელი, სამარცხვინო ბოძზე გააკრა და სრულ დავიწყებას მისცა ისინი. ამ ბრძოლაში მარქსისტულ-ლენინურმა იდეოლოგიამ მოიპოვა ხალხის უაღრესად მხურვალე სიმპათია, იგი ფართოდ გავრცელდა ყველა ქვეყანაში. ჩვენ მუდამ გვახსოვს სიტყვები ლენინისა, რომელიც ამბობდა, რომ პარტიას „ერთი წუთითაც არ უნდა გამოეპაროს მხედველობიდან ჩვენი საბოლოო მიზანი, მუდამ უნდა ავრცელოს, დაიცვას დამახინჯებათაგან და განავითაროს პროლეტარული იდეოლოგია — მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრება, ე. ი. მარქსიზმი“. საბჭოთა კავშირის დიადი კომუნისტური პარტია იმარჯვებდა და იმარჯვებს მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ერთგულებით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული ჩვენი პარტია ახლა უფრო ერთიანი და დარაზმულია, ვიდრე ოდესმე, იგი მტკიცე რწმენით მიუძღვის საბჭოთა ხალხს კომუნიზმის გზით.

ჩვენს ქვეყანაში არ არის ბაზა უცხო იდეოლოგიის წარმოშობისა და ზრდისათვის, მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ დარჩნენ მისი ზოგიერთი გადმონაშთები, რომლებიც შეიძლება გაძლიერდნენ, თუ მათ გადამწყვეტ წინააღმდეგობას არ გავუწევთ. იდეური ზემოქმედების ყველა საშუალების — ხელოვნების, მეცნიერების, ლიტერატურის, პრესის, პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის ამოცანაა კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღონ იდეოლოგიური მუშაობა მასებში, მრავალფეროვანი გახადონ ამ მუშაობის ფორმები და მეთოდები, ბრძოლა გამოუცხადონ დამპალ განწყობილებებს, უცხოეთის რეაქციული პროპაგანდის გადამდერებას, ჩაუნერგონ ხალხს შეურიგებლობა ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი.

მარქსისტულ-ლენინური თეორია, რომელიც გაიზარდა ყოველივე იმ საუკეთესოს ბაზაზე, რაც კაცობრიობამ შეიმუშავა თავისი განვითარების ათასი წლების მანძილზე, კაცობრიობის კულტურისა და ცივილიზაციის უმაღლესი მიღწევაა. მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით იზრდება და ვითარდება ძლევამოსილი მსოფლიო სოციალისტური ბანაკი, ამ სახელოვანი და ძლევამოსილი დროშით ვითარდება საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა.

„პრავდის“ 12/XII მოწინავე.

ჩვენს დიად სამშობლოში

★

ჩრდილოეთ კავკასიის უდიდესი საირიგაციო სისტემა

სტავროპოლი. დამტკიცდა ჩრდილოეთ კავკასიაში უდიდესი ყუბან-კალაუსის სარწყავი სისტემის მშენებლობის პროექტი.

მძლავრი კაშხალი კავკასიონის მთის ძირზე შეაჩერებს მდინარე ყუბანის სწრაფ დინებას და მის წყალს გაუშვებს ყუბან-კალაუსის მაგისტრალური არხის კალაპოტში. წამში 180 კუბური მეტრი წყალი შევა დიდ მლაშე ტბაში ჩერკესკის დასავლეთით, რომელიც გადაიქცევა მთელი საირიგაციო სისტემის მთავარ რეზერვუარად და უზრუნველყოფს მის თანაბარ კვებას წლის განმავლობაში.

მაგისტრალური არხი გაივლის 160 კილომეტრს ყუბანსა და კუმას შუა ციცაბო წყალგამყოფზე, მდინარე კალაუსის სათავეებში გაიყოფა კალაუს-კუმისა და სტავროპოლის არხებად, რომელთა საერთო სიგრძე 610 კილომეტრს შეადგენს.

ყუბანის წყალი გაავსებს მრავალი ველის პატარა მდინარის კალაპოტებს, რომლებიც ზაფხულში შრება, ხევებს, ხრამებს, გაიცლის სტავროპოლის მხარის მეტად გვალვიან რაიონებს ნახევრად უდაბური შავი მიწების საზღვრებამდე.

ყუბან-კალაუსის სისტემა მორწყავს მხარის ცენტრალური და აღმოსავლეთი ზონების 200 ათას ჰექტარს და წყლით უზრუნველყოფს 3 მილიონამდე ჰექტარს. გარდა ამისა, იგი იქნება იაფი ელექტროენერგიის წყარო. არხებზე აშენდება 200 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის რამდენიმე ჰიდროელექტროსადგური.

ყუბან-კალაუსის საირიგაციო ქსელი ყუბან-ეგორლიკის სარწყავ სისტემასთან, რომელიც სტავროპოლის მხარეში შენდება, და თერგ-კუმის მაგისტრალურ არხთან ერთად გადაჭრის ამ მხარის გვალვიანი ნაყოფიერი მიწების სრული მორწყვისა და წყლით უზრუნველყოფის პრობლემას.

შესრულებულია ნლიური გეგმა

მოსკოვის ელექტრონათურების ქარხნის კოლექტივმა ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვა: 10 დეკემბერს, ვადაზე სამი კვირით ადრე, მან შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების 1956 წლის გეგმა.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გადიდდა 16,7 პროცენტით. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. ძირითადი სახეობათა ნაკეთობის თვითღირებულება 22 პროცენტით შემცირდა.

11 თვის განმავლობაში ქარხნის ლაბორატორიებში ათვისებულ იქნა და მასობრივი გამოშვებისათვის გადაეცა 45 ახალი ტიპის ელექტროვაკუუმური ხელსაწყოები და სინათლის წყაროები.

(საკდესი).

კემეროვოს ოლქი. ფართო ფრონტით გაჩაღდა სტალინსკ-აბაკანის ახალი რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობა. მისი სიგრძე 360 კილომეტრზე მეტია. ამ გზით მადანს მიაწოდებენ კუზნეცკის მეტალურგიულ კომბინატს და სამგზავნად გამოაგზავნიან ქვანახშირს ტომ-უსინის ახალი სტალინსკ-აბაკანის რკინიგზის მშენებლობა დამთავრდება 1957 წელს. **სურათზე:** ლიანდაგის დაგება. ფოტო ვ. ვოიტენკოსი (საკდესის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ვ. პლეხანოვის დაბადების ასი წლისთავი

საზეიმო სხდომა სსრ კავშირის დიდ თეატრში

11 დეკემბერს სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში გაიმართა პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სამეცნიერო საზოგადოებრიობის საზეიმო სხდომა, მიძღვნილი რუსეთში მარქსიზმის პირველი პროპაგანდისტის, რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის გიორგი ვალენტინის-ძე პლეხანოვის დაბადების ასი წლისთავისადმი.

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, გ. კ. ჟუკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, დ. ტ. შეპილოვი, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, პ. ნ. პოსპელოვი, რომლებსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

საზეიმო სხდომა გახსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. ტ. მარჩენკომ.

მოხსენება „გ. ვ. პლეხანოვის ისტორიული როლი რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში“ გააკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა აკადემიკოსმა მ. ბ. მიტინმა.

მომხსენებელმა დაწვრილებით დაახასიათა გ. ვ. პლეხანოვის ცხოვრების გზა, მისი, როგორც რუსეთში მარქსიზმის პირველი გამოჩენილი პროპაგანდისტის რევოლუციური მოღვაწეობა და უდიდესი დამსახურება, ხაზი გაუსვა იმას, თუ რა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პლეხანოვის განთქმულ წიგნს „ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის“, რომლითაც აღიზარდა რევოლუციური ახალგაზრდობის მრავალი თაობა. მოხსენებაში მოცემული იყო ისტორიაში პიროვნებისა და ხალხის მასების როლის საკითხზე პლეხანოვის ძირითად დებულებათა ვრცელი ანალიზი. ხალხის მასები, ამტკიცებდა პლეხანოვი, გადამწყვეტ ძალას წარმოადგენენ ისტორიაში, ხალხია ისტორიის შემოქმედი, დემიურგი.

მოხსენებაში გაშუქებული იყო ვ. ი. ლენინის დამოკიდებულება გ. ვ. პლეხანოვისადმი. ვლადიმერ ილიას-ძე დიდად აფასებდა მის ჭკუას, მის უდიდეს ცოდნას, მის ბრძოლას მარქსისტული ფილოსოფიისათვის. ლენინი მოუწოდებდა შეესწავლათ ყოველივე, რაც კი პლეხანოვს დაუწერია ფილოსოფიაში.

ახლა, ამბობს აკადემიკოსი მიტინი, როცა იმპერიალისტური რეაქცია გამალებით ისწრაფვის შეაჩეროს ისტორიის ძლევამოსილი სვლა და ზედიზედ აჩაღებს საშინელ, ცილისმწამებლურ კამპანიას სოციალიზმის ძალების წინააღმდეგ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ პლეხანოვის მშვენიერი სიტყვები, რომლებიც მან ერთ დროს თქვა: „ცდილობდე შეანელო თანამედროვე სოციალისტური მოძრაობა იმას ნიშნავს, რომ უაღრესად მძიმე ცოდვა ჩაიდინო ჰუმანურობისა და კულტურის წინააღმდეგ“.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა კონცერტი. (საკდესი).

გ. ვ. პლეხანოვის რჩეულ თხზულებათა კრებულის გამოცემა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა დაიწყო გ. ვ. პლეხანოვის რჩეულ თხზულებათა 15-ტომიანი კრებულის მომზადება. ეს მეოთხე გამოცემა დასახულია გამოვიდეს უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში. თხზულებებში შევა რუსეთში მარქსიზმის პირველი გამოჩენილი პროპაგანდისტის გ. ვ. პლეხანოვის ყველა უმნიშვნელოვანესი შრომა, მათ შორის: „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“, „ჩვენი უთანხმოებანი“, „ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის“, „ისტორიაში პიროვნების როლის საკითხისათვის“, „ისტორიის მატერიალისტური გაგების შესახებ“, „მარქსიზმის ძირითადი საკითხები“ და სხვ.

ნავარაუდევია უკვე მომავალ წელს გამოვიდეს პირველი ტომი. (საკდესი).

გიგანტური წნეხი

იყენებს რა მოწინავე ტექნოლოგიას, მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის შემკეთებელ-მექანიკური საამქროს კოლექტივმა დაიწყო შედუღებული კონსტრუქციის წნეხების გამოშვება. 10 დეკემბერს საამქროს კოლექტივმა დანიშნულ ვადაზე ერთი თვით ადრე დაამთავრა 3.500 ტონა წნევის გიგანტური შედუღებული წნეხის დამზადება. იგი განკუთვნილია ჩინეთის პირველი საავტომობილო ქარხნისათვის — ჩანჩუნის ქარხნისათვის.

სიმაღლით ახალი წნეხი ხუთსართულიან სახლს უდრის. მისი წონაა 728 ტონა. აგრეგატის გადასაზიდავად საჭირო იქნება 13-14 სარკინიგზო ბაქანი. (საკდესი).

მოსკოვში ჩამოვიდნენ ესტონეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მონაწილენი

11 დეკემბერს მოსკოვში ჩამოვიდნენ ესტონეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მონაწილენი. ლენინგრადის ვაგზალში სტუმრებს შეხვდა დედაქალაქის თეატრების, საზოგადოებრიობისა და მშრომელების მრავალი წარმომადგენელი.

დეკადის მონაწილეთა შეხვედრისადმი მიძღვნილ მიტინგზე გამოვიდა სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი. მოსკოვის თეატრალური საზოგადოებრიობის, ხელოვნების მუშაკებისა და საზოგადოებრიობის სახელით სტუმრებს მიესალმა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. ი. ლემეშევი. ესტონეთის სსრ კულტურის მინისტრმა ა. ი. ანსბერგმა მხურვალე მადლობა გადაუხადა მოსკოველებს გულთბილი შეხვედრისათვის. შეკრებილნი ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტს ა. ნ. ლაუტერს, რომელმაც დეკადის მონაწილეთა სახელით ილაპარაკა.

მოწინავეთა გამოცდილება—მასებს!

ვახტანგ მაღულარია — ნოვატორი მექექსკავატორე

ეს მოხდა მიმდინარე წლის დასაწყისში.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს ამ უბანზე, სადაც ახალი ფოლადსადნობი ღუმელი უნდა დამონტაჟებულიყო, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის სპეციალისტები შეიკრიბნენ და თათბირობდნენ, თუ როგორ დაეჩქარებინათ ღუმელისათვის საჭირო ღრმა ქვაბულის გაჭრა, რაც ათასობით კუბმეტრი მიწის სამუშაოს შესრულებას მოითხოვდა.

სირთულეს ის იწვევდა, რომ ამ ადგილას შენობის კორპუსი უკვე გადახურული იყო და მოწყობილობა — ნაწილობრივ დამონტაჟებული. საკმაო გაბარიტის უქონლობა კი აქ სამშენებლო მექანიზმების გამოყენების საშუალებას არ იძლეოდა. ბოლოს სპეციალისტებმა გადაწყვიტეს მიწის სამუშაოების ხელით შესრულება. ეს კი მშენებლობის მკვეთრად გაძვირების გარდა ღუმელის სამონტაჟო სამუშაოთა დიდად გაჭიანურებას გამოიწვევდა.

— მე მომანდეთ ეს საქმე და ქვაბულს ვადაზე ადრე ჩაგაბარებთ,— უთხრა ინჟინრებს მექექსკავატორე ვახტანგ მაღულარიამ. — სამუშაო ადგილს ჯერ პირდაპირი ციცხვიანი ექსკავატორით გავაღრმავებ, შემდეგ შებრუნებულ ციცხვიან ექსკავატორს შენობაში შევიტან და ქვაბულის ამოთხრას შევუდგები. ექსკავატორისათვის მიწის თავმოსაყრელად, ავტომანქანებზე მიწის მიწოდება, რომ გავიადვილო, ქვაბულში ბულდოზერს ჩავიყვან და ექსკავატორისა და ბულდოზერის კომპლექსურად გამოყენებით განვახორციელებ იმას, რაც თქვენ შეუძლებლად მიიჩნიეთ.

ეს ამოცანა ვ. მაღულარიამ თავის მეწყვილეების, ნ. შეროზაშვილის, ი. ჩებულევის, მებულდოზერეების პ. პავლოვისა და ი. ვალოშკოს აქტიური დახმარებით წარმატებით შეასრულა. მექანიზატორებმა ქვაბული ვადაზე ბევრად ადრე გაჭრეს, სახელმწიფოს ათეულ ათასობით მანეთი დაუზოგეს და 3.600-ზე მეტი კაც-დღის ეკონომია გასწიეს.

რვა წელზე მეტია ვ. მაღულარია ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის სამშენებლო მექანიზმების სამმართველოში მექექსკავატორედ მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში მას თავისი ექსკავატორის ციცხვით, რომელსაც გამუდმებული მუშაობისაგან ფოლადის ეშვები სარკესავით უკრიალებს, ნორმით გათვალისწინებული 426 ათასის ნაცვლად 800 ათასი კუბმეტრი მიწის სამუშაოები აქვს შესრულებული.



ვ. მაღულარია.

* * *

იმ ექსკავატორს, რომელსაც ვ. მაღულარია და მისი შემცვლელი ლ. მანძულაშვილი მართავენ, კარგი მოვლის შედეგად მიმდინარე რემონტი 5 წლის მანძილზე მხოლოდ ერთხელ გაუკეთდა, მექექსკავატორეები ყოველდღიურ დავალებებს საშუალოდ 180-200 პროცენტით ასრულებენ და ექსკავატორის წარმადობა ცვლაში 148-ის ნაცვლად 300-320 კუბმეტრამდე აჰყავთ. მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის ვ. მაღულარია დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, მიკუთვნებული აქვს მე-7 თანრიგი, ნიშანი „საუკეთესო მექექსკავატორე“, არჩეულია საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის წევრად.

ექსკავატორის მართვისას ვ. მაღულარიას ამწევი ბაგირი ყოველთვის დაჭიმული აქვს, რათა ციცხვი მიწით ავსებისთანავე ასწიოს ზემოთ. ნიადაგიდან ციცხვის მოცილების შემდეგ ექსკავატორის ისარს ზემოთ აწევასთან ერთად შემოაბრუნებს ხოლმე კუთხით, რომლის სიდიდე საშუალებას აძლევს ციცხვიდან მიწა ზუსტად გათვალისწინებულ ადგილას ჩამოყაროს. მაღულარია არეგულირებს ნიადაგის ჭრის კუთხეს ჰორიზონტზე ციცხვის დახრის შესაბამისად. მიწის ჭრის პროცესი თანაბრად ხორციელდება. სამუშაოთა შესრულებისას მექექსკავატორე ზუსტად იცავს ტექნიკურ სქემას, მუშაობის გაბარიტის ფარგლებს, რაც საშუალებას აძლევს ყოველთვის ჭქონდეს სათანადო გაქანების სამუშაო ფრონტი.

ინსტრუქციის მიხედვით ექსკავატორის შებრუნებულ ციცხვს მხოლოდ ტრანშეის გათხრისა და მიწის უტრანსპორტოდ გადაყრისათვის იყენებენ. ვ. მაღულარია კი შემობრუნებულ ციცხვს წარმატებით იყენებს ავტოტრანსპორტის ძარაში მიწის ჩასატვირთავად.

მაღულარიას ექსკავატორის 0,5 კუბმეტრიანი ციცხვი გადიდებულია 0,57 კუბმეტრამდე. ციცხვის გადანაცვლების 3 ოპერაცია საკმარისია თვითსაცლელი ავტომანქანის ძარის დასატვირთავად, მაშინ, როცა მანამდე 4 ოპერაცია იყო საჭირო. ამ გზით თითო დატვირთვაზე იგებენ 1 წუთს, ცვლაში—3 საათზე მეტ დროს და ამ დროში დამატებით სულ მცირე 60 კუბმეტრ მიწის სამუშაოს ასრულებენ.

სამშენებლო მექანიზმების სამმართველოს მოწინავე მექექსკავატორეები ერთმანეთს სისტემატურად უზიარებენ მუშაობის გამოცდილებას. ამის შედეგად წელს სამმართველოს ყველა მექექსკავატორე გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს. სამმართველოს კოლექტივმა წლიური გეგმა ჯერ კიდევ 1 ოქტომბრისათვის გააღაღა და მარტო თვენახევრის მანძილზე 1957 წლის ანგარიშში 180.000 კუბმეტრი მიწის სამუშაო შეასრულა, 45 პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება და სამუშაოთა თვითღირებულება 13 პროცენტით შეამცირა.

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის დანარჩენ სამშენებლო სამმართველოებშიც მრავალი ნოვატორი მშენებელი მუშაობს. სამწუხაროდ, მათი გამოცდილების ფართოდ განზოგადებას, როგორც მშენებლობის დაჩქარების, გაიაფებისა და ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მნიშვნელოვან რეზერვს, ნაკლები ყურადღება ექცევა. ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ ტრესტის მთავარი ტექნოლოგის, შრომისა და ხელფასის განყოფილებებს, ნორმატიულ-საკვლევ სადგურს წელს მოწინავე მშენებლის გამოცდილების არცერთი აღწერილობა არ მოუმზადებია.

ნოვატორთა გამოცდილების ყველა მშენებლის კუთვნილებად გადაქცევისათვის ბრძოლა უნდა გაძლიერდეს.

გ. გელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

პარტიული ცხოვრება

პარტიული აქტივი რაიონული კომიტეტის დასაყრდენია

იმ დიდი პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების განხორციელება, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიულმა XX ყრილობამ დასახა, მოითხოვს პარტიული ორგანიზაციებისაგან სათავეში ჩაუდგნენ ყველა მშრომელის შემოქმედებითს აქტივობას და დარაზმონ ისინი მეექვსე ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის საბრძოლველად.

კომუნისტური პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭიროა კადრები, რომლებსაც სწორად ესმით პარტიის პოლიტიკური ხაზი და მზად არიან ზუსტად გაატარონ იგი ცხოვრებაში. ამ მხრივ უწინარეს ყოვლისა განსაკუთრებული როლი ენიჭება პარტიულ აქტივს, რომელიც წარმოადგენს მშრომელების მრავალმილიონიან მასებთან პარტიის დამაკავშირებელ ძარღვს. ამიტომ აქტივთან ყოველდღიური მუშაობა, მისი ორგანიზატორული როლის ამაღლება პარტიული კომიტეტების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა.

პარტიის წყალტუბოს რაიონული კომიტეტი სისტემატურად მუშაობს პარტიული აქტივის პოლიტიკური გამოწრთობისათვის, აწყობს სემინარებს და თათბირებს პარტიული მუშაობის უმნიშვნელოვანესი საკითხების განსახილველად, ინსტრუქტაჟს უწევს კადრებს, დიდ ყურადღებას აქცევს აქტივის შეიარაღებას პარტიული და სამეურნეო მუშაობის გამოცდილებით. რაიონული კომიტეტი რეგულარულად იწვევს პარტიული აქტივის კრებებს, რომლებზეც განვიხილავთ აქტუალურ სამეურნეო და პოლიტიკურ საკითხებს, აზრთა ურთიერთ გაზიარების საფუძველზე ვსახავთ ღონისძიებებს ჩამორჩენის გამოსასწორებლად და ვიღებთ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს. ასეთი კრებები ხელს უწყობს იმასაც, რომ პარტიული აქტივი მუდამ იყოს რაიონში არსებული მდგომარეობის კურსში, საქმის ცოდნით ხელმძღვანელობდეს და დახმარებას უწევდეს რაიონის საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებს.

წელს სამჯერ იქნა მოწვეული რაიონული პარტიული აქტივის კრება. პარტიული აქტივის ერთ-ერთ კრებაზე, რომელიც მიმდინარე წლის მარტში გაიმართა, კომუნისტებმა საქმიან ვითარებაში განიხილეს საკითხი სკკპ XX ყრილობის შედეგებისა და წყალტუბოს რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ. ამ საკითხის მომზადებაში რაიკომის მუშაკებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს გუმბრინის წარმოების პარტბიუროს მდივანმა გ. სადრაძემ, სოფელ გუმბრის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. გორდულაძემ, მეშახტეთა სანატორიუმის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ო. ამაღლობელმა, კომკავშირის წყალტუბოს რაიკომის მდივანმა ე. ბაბუნაშვილმა, სოფელ ქვილიშორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა ა. ჩიქოვანმა და სხვებმა.

აქტივის კრების მონაწილეებმა ბევრი საქმიანი წინადადება შემოიტანეს. მაგალითად, სოფელ გვიშტიბის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა შ. ჩავჩიძემ დააყენა საკითხი რაიონის მთის ზონის კოლმეურნეობებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის შესახებ. რუსული საშუალო სკოლის დირექტორმა ს. გოშხეთელიანმა აღნიშნა, რომ სასკოლო კაბინეტ-ლაბორატორიებს სათანადო ხელსაწყოები აკლიათ. მილიციის რაიონული განყოფილების უფროსმა ა. გაგუამ დააყენა საკითხი, რომ ხულგნობის წინააღმდეგ ბრძოლისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში მილიციის მუშაკებს უფრო აქტიურად უნდა დაეხმარონ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. მთელი საზოგადოებრიობა. აქტივის კრებაზე აგრეთვე გამოითქვა აზრი, რომ საჭიროა დაჩქარდეს მეშახტეთა სანატორიუმის ტერიტორიის გამწვანება და კეთილმოწყობა.

პარტიის რაიონული კომიტეტი გულისხმიერად ეკიდება პარტიული აქტივის კრებებზე, კონფერენციებსა და პლენუმებზე კომუნისტების მიერ გაკეთებულ კრიტიკულ შენიშვნებს და დაყენებულ საქმიან წინადადებებს. რაიკომის ბიუროს რამდენჯერმე იმსჯელა კომუნისტების შენიშვნებისა და წინადადებების განხორციელების საკითხზე. ამან უზრუნველყო კომუნისტების მიერ შემოტანილ წინადადებათა დიდი ნაწილის განხორციელება და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი ზემდგომი საბჭოთა ორგანო საჭირო დახმარებას არ გვიწევს და გულისხმიერად არ ეკიდება ჩვენს კრიტიკულ შენიშვნებს. პარტიული აქტივის კრებებსა და რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე კომუნისტებმა არაერთხელ აღნიშნეს სერიოზული ნაკლოვანებანი საქართველოს გუმბრინის წარმოებაში მექანიზაციის დანერგვის და მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში, გააკრიტიკეს წყალტუბოს № 2 და № 3 სამშენებლო სამმართველოებისა და კურორტის სავაჭრო ორგანიზაციების მოუქნელი მუშაობა, აგრეთვე აღნიშნეს, რომ შეუწყნარებლად ჭიანურდება კურორტის კეთილმოწყობის სამუშაოები, სანატორიუმებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. მათ მოითხოვეს, რომ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, კავშირგაბმულობის, საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროებმა და ტრესტმა „საქნავთმა" გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება ზემოთაღნიშნული ორგანიზაციების მიმართ და გადამჭრელი ზომები მიიღონ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. მაგრამ კომუნისტების ამ სამართლიან შენიშვნებს შედეგები არ მოჰყოლია, მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა.

თუ რა დიდი წარმატების მოპოვება შეუძლია პარტიულ ორგანიზაციას აქტივთან უნარიანი მუშაობით და აქტივზე დაყრდნობით, ამის მაგალითს მკაფიოდ გვიჩვენებს გუმბრინის წარმოების პარტიული ორგანიზაცია. პარტბიუროს თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავს ფართო პარტიული აქტივი. შექმნილია ლექტორიუმი, რომელშიც გაერთიანებულია 8 თეორიულად მომზადებული ამხანაგი. ლექტორიუმი რეგულარულად აწყობს ლექციებს მუშა-მოსამსახურეთა შორის. პარტიული აქტივის ნაყოფიერი მუშაობით აიხსნება, რომ გუმბრინის წარმოება მადნის ამოღების გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს და ამჟამად იმისათვის იბრძვის, რომ 20 დეკემბრისათვის შეასრულოს მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის დავალება.

კომუნისტური პარტია მისი ადგილობრივი ორგანიზაციებისაგან მოითხოვს ყოველდღიურად იზრუნონ აქტივის იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის, რომ იდეოლოგიური მუშაობა არ ჩამორჩებოდეს პარტიის ამოცანებს. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა აქტივის მეშვეობით ღრმად და დამაჯერებლად განუმარტონ მშრომელებს კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებები, დარაზმონ ისინი მათი პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

პარტიული აქტივის თეორიული შეიარაღებისათვის პარტიის რაიკომმა წელს ჩამოაყალიბა ორწლიანი ეკონომიური სკოლა, რომელშიც 85 კაცი სწავლობს მარქსისტულ-ლენინურ ეკონომიურ თეორიას. ამას გარდა, ცალკეულ მსხვილ საწარმოებთან შექმნილია და მუშაობს კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარები. აქტივის მნიშვნელოვანი ნაწილი წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის გზით იძაღლებს იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონეს. მათ დასახმარებლად პოლიტიკური განათლების კაბინეტი სისტემატურად მართავს ლექციებს და კონსულტაციებს, გულდასმით ამზადებს და აწყობს თეორიულ კონფერენციებს კონკრეტული ეკონომიკის საკითხებზე.

პარტორგანიზაციების მდივნები პარტიული აქტივის მრავალრიცხოვან რაზმს შეადგენენ. პარტიული ორგანიზაციების მდივნების დასახმარებლად რაიკომი პერიოდულად მართავს თათბირ-სემინარებს, ზრუნავს მათი იდეურ-პოლიტიკური მომზადების გაუმჯობესებისა და პარტიული მუშაობის გამოცდილებით შეიარაღებისათვის. მაგრამ ამ მხრივ კიდევ უფრო მეტის გაკეთებაა საჭირო.

პარტიის წყალტუბოს რაიონულმა კომიტეტმა პარტიული აქტივიდან შეარჩია ყველაზე მომზადებული ამხანაგები და დაამტკიცა ისინი შტატგარეშე ლექტორებად. ახლა რაიონის მშრომელთა შორის 33 შტატგარეშე ლექტორი და 32 პოლიტიკური მომხსენებელი კითხულობს ლექციებსა და მოხსენებებს. შტატგარეშე ლექტორები დარგებისა და განათლების მიხედვით გაერთიანებული არიან ექვს სხვადასხვა სექციაში, რომლებიც თავიანთ სხდომებზე კრიტიკულად განიხილავენ ცალკეულ ლექციებს და შეაქვთ შიგ საქმიანი შესწორებანი. ლექტორთა უმრავლესობა პასუხისმგებლობით ეკიდება მინდობილ საქმეს. ლექტორმა ა. ახობაძემ, რომელიც რაიონული კომიტეტის წევრია და კურორტის პირველ პოლიკლინიკაში მუშაობს ექიმად, მაღალ იდეურ დონეზე მოამზადა ლექცია თემაზე „მარქსიზმ-ლენინიზმი ისტორიაში ხალხის მასების გადამწყვეტი როლის შესახებ". ამავე პოლიკლინიკის მთავარი ექიმი ო. იოსელიანი კითხულობს ლექციას თემაზე „საქართველოს სსრ მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობა მეექვსე ხუთწლედში". ცოცხლად, შინაარსიანად კითხულობენ ლექციებს აგრეთვე ლექტორები გ. ჯიქია, ნ. შავგულიძე და სხვ. აღნიშნული ამხანაგები რეგულარულად გამოდიან ლექციებით რაიონის მშრომელთა წინაშე. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ პარტიული აქტივის ერთი ნაწილი ჯერ კიდევ პასუხისმგებლობით არ ეკიდება ლექციების მომზადებისა და ჩატარების საქმეს. ეს შეიძლება ითქვას რაიკომის შტატგარეშე ლექტორების ა. თოფურიძის, ვ. იოსელიანის, ს. ბერაძის და სხვ. შესახებ.

რაიონის პარტიული აქტივი კოლმეურნეობებს სისტემატურად უწევს პრაქტიკულ დახმარებას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების აგროტექნიკურ ვადებში შესრულებისათვის მოსახლეობის მობილიზაციის საქმეში. ამ მხრივ აღსანიშნავია რაიკომის წევრების ზ. ნემსაძის, ა. გეგეშიძის, პ. საყვარელიძის, ვ. კიკატუნიძის, ნ. ინოზემცევის და სხვების ნაყოფიერი მუშაობა. რაიონის პარტიული აქტივის დახმარებით მთელმა რიგმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა შეძლეს ერთსულოვნად დაერაზმათ კოლმეურნეები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმების შესრულებისათვის.

პარტიული აქტივი დაეხმარა რაიონის კოლმეურნეობებს მეცხოველეობის განვითარებაში. მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმის შესრულების მხრივ ყველაზე კარგი მაჩვენებლები მოიპოვა სოფელ გვიშტიბის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელმაც გეგმით გათვალისწინებული 1.000 ლიტრის ნაცვლად საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე 1 ოქტომბრისათვის მიიღო 1.200 ლიტრი რძე, ანუ 100 ლიტრით მეტი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ასეთივე კარგი მაჩვენებლებია მოპოვებული სოფელ მაღლაკის ლენინის სახელობის და სოფელ წყალტუბოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში. წველადობა მნიშვნელოვნად გაადიდეს აგრეთვე სოფელ ფარცხანაყანევის კალინინის სახელობის, ცხუნკურის ორჯონიკიძის სახელობის და ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობაში.

წყალტუბოს რაიონში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეაბრეშუმეობას. ამიტომაც აბრეშუმის პარკის დამზადების სახელმწიფო გეგმა რეგულარულად სრულდება. პარკის დამზადების სახელმწიფო გეგმა 15 სექტემბრისათვის შესრულებული იყო 101 პროცენტით. მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული მებოსტნეობის განვითარებაშიც. მაგრამ რაიონში ჯერ კიდევ ცუდი მდგომარეობაა მეღორეობაში, მეფრინველეობასა და მეფუტკრეობაში. მართალია, ღორის სულადობისა და ერთ დედაღორზე გოჭების მიღებისა და გაზრდის გეგმა შესრულებულია, მაგრამ რაიონის კოლმეურნეობები ცუდად მუშაობენ ღორების გასუქების საქმეში, რის გამოც სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარებაში ღორის ხორცის წილი ჯერ კიდევ დაბალია. რაც შეეხება მეფრინველეობას, ეს დარგი წლების მანძილზე ჩამორჩებოდა და კვლავ ჩამორჩენილია.

პარტიის წყალტუბოს რაიკომი შემდგომ გაუმჯობესებს კადრებთან მუშაობას, პარტიულ აქტივზე დაყრდნობით გააძლიერებს ბრძოლას ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, დარაზმავს რაიონის მშრომელებს მეექვსე ხუთწლედის დავალებების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ვ. ურუშაძე,
საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს რაიკომის პირველი მდივანი.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში"

ამ სათაურით „კომუნისტში" დაიბეჭდა წერილი, რომელშიც გაკრიტიკებული იყო პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები პოლიტიკური განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში დაშვებული შეცდომებისა და ნაკლოვანებებისათვის.

პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ჩალაძე რედაქციას ატყობინებს, რომ მიღებულია ზომები პარტიული განათლების ქსელში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და მეცადინეობის მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე წარმართვისათვის, განხორციელდა ღონისძიებანი ეკონომიური ცოდნის პროპაგანდის გაძლიერებისათვის. გასულ წელთან შედარებით წელს კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარების რაოდენობა 6-დან 20-მდე არის გაზრდილი.

მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს პარტიის საქალაქო კომიტეტმა განიხილა საკითხი „ქალაქში იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". პლენუმმა პირველადი პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვა ყველა ღონისძიება მიიღონ პარტიული განათლების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, მთელი იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ამასთან ამ მუშაობას საფუძვლად დაუდონ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ ოქტომბერსა და ნოემბერში განიხილა ცალკეულ საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებში კომუნისტთა პოლიტიკური სწავლების დაყენების საკითხი და დასახა ღონისძიებანი გამოაშკარავებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, პრაქტიკასთან თეორიის უფრო მჭიდროდ დაკავშირებისათვის.

მოწინავე საფეიქრო საწარმო

წულუკიძის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივმა მიმდინარე წლის დასაწყისშივე საწარმოს საერთო კრებაზე შეაჯამა წინა წლის მუშაობის შედეგები, ამხილა ის მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიდნენ გეგმის წარმატებით შესრულებას, დასახა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, გააჩაღა თავდადებული შრომა მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

კარგად მოწესრიგებულმა შრომამ კარგი ნაყოფი გამოიღო. ფაბრიკის კოლექტივმა 27 ნოემბრისათვის საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური საწარმოო პროგრამა 109,9 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 8.300 ათასი მანეთის პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაზარდა 10 პროცენტით, მნიშვნელოვნად შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და ამის შედეგად საშუალოს მისცა 732 ათასი მანეთის ზეგეგმითი მოგება.

მასალებისა და სათბობის ყაირათიანი ხარჯვის შედეგად აქ 10 თვის განმავლობაში დაზოგეს 11 ტონა ნედლეული, 566 ტონა სათბობი, 101 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

ფაბრიკის კოლექტივმა მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა შორის გაჩაღებულ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით დაიკავა მესამე ადგილი და მიიღო ფულადი პრემია 39 ათასი მანეთი.

თავდადებულ შრომაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ბრიგადები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ე. ადამია, მ. მიქაია, ო. სანოძე და გ. უგრეხელიძე.

ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა წლის ბოლომდე დედა-სამშობლოს მისცეს რამდენიმე მილიონი მანეთის პროდუქცია.

სურათზე: ძაფის საგრეხი საამქროს მოწინავე მუშა დ. ბახტაძე (მარცხნივ) გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდა მუშას ლ. ჩომახიძეს.

სურათზე: აბრეშუმის ძაფსაღები საამქროს მუშები მ. ჯიმშელეიშვილი (მარჯვნივ) და ა. იაკოვლევა, რომლებიც ყოველდღიურ დაგალებას 150 პროცენტით ასრულებენ და იძლევიან მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას.

ფოტო შ. გოქაძისა.

გაზეთების ფურცლებზე

ღრმად შევისწავლოთ დიდი რუსი ხალხის ენა

ასეთი საერთო სათაურით გორის რაიონულმა გაზეთმა „სოციალისტურმა სოფელმა" მთელი გვერდი დაუთმო მასალებს მოსწავლეთა მიერ დიდი რუსი ხალხის ენის შესწავლის საკითხებზე. გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ბეთლემიძე თავის წერილში ეხება სკოლებში რუსული ენის სწავლების ზოგიერთ საკითხს. სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელი ა. კლდიაშვილი წერს რუსულ ენაში მოსწავლეთა საშინაო დავალებებზე თავისი მუშაობის შესახებ. სოფელ ატენის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის შემსწავლელი წრის ხელმძღვანელის ვ. კაზარიანის წერილში მოთხრობილია წრის მუშაობის გამოცდილებაზე. თუ როგორ ეუფლებიან რუსულ ენას სოფელ ტირძნისის საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლეები, ამაზე წერს მოსწავლე ვ. მარკოზაშვილი.

გაზეთი იუწყება, რომ ამ დღეებში საქართველოს კპ გორის რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი სოფლების ქვახვრელის, ძევრის, ზედფუდეთის, ბერშუეთის და ახალუბნის სკოლებში რუსული ენის სწავლების მდგომარეობის შესახებ. ბიუროზე აღინიშნა, რომ ამ სკოლების მოსწავლეთა მეტ ნაწილს არა აქვს რუსული ენის მტკიცე ცოდნა-ჩვევები, რუსული ენის მასწავლებლები სისტემატურად არ იმაღლებენ ცოდნის დონეს, ცუდად ემზადებიან გაკვეთილებისათვის და ა. შ. რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით რაიკომის ბიურომ დასახა პრაქტიკული ღონისძიებები. სკოლების დირექციებს და პირველად პარტორგანიზაციებს დაევალათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ რუსული ენის სწავლებას, გაუმჯობესონ მეთოდური კომისიების, წრეების მუშაობა, მოაწყონ რუსული ენის მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების ფართო პროპაგანდა და სხვ.

ფოსტის დამტარებლები

კარგად მოიქცა ამბროლაურის რაიონული გაზეთი „კომუნარი", რომელმაც თავისი ერთ-ერთი მორიგი მოწინავე სტატია უბრალო პროფესიის ადამიანებს — ფოსტის დამტარებლებს მიუძღვნა. მოწინავე სტატიაში, რომელიც გულთბილი სტრიქონებით არის დაწერილი, მოთხრობილია ამ მოწინავე ფოსტის დამტარებლებზე, რომლებმაც თავიანთი, ერთი შეხედვით, პატარა, მაგრამ მეტად სასარგებლო შრომით მოსახლეობის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს. ესენი არიან ანტონ ჯანელიძე რაიონის ცენტრიდან, ილარიონ შიშინაშვილი სოფელ მეორე ტოლიდან, ბაბილინა ვაწაძე სოფელ ჩორჯოდან, ნასტია ნასარიძე სოფელ კრიხიდან, თამარ ქვათაძე სოფელ სხვავიდან, გიორგი ტურძელაძე სოფელ ზნაკვიდან, ბენია წერეთელი სოფელ შრომიდან, მავრა ჯინჭარაძე სოფელ ჭყვიშიდან და სხვ.

გაზეთი ამავე დროს აღნიშნავს, რომ ხშირად ფოსტის დამტარებლებს არ უქმნიან მუშაობის სათანადო პირობებს, მათ არა აქვთ ტრანსპორტი, ფოსტის გადასატანი სათანადო მოწყობილობა და სხვ. „კომუნარი" სამართლიანად მიუთითებს, რომ კავშირგაბმულობის რაიონული კანტორის, მისი საფოსტო განყოფილებების, კოლმეურნეობათა გამგეობების ვალია შეუქმნან სოფლის ფოსტალიონებს ნორმალური მუშაობის ყველა პირობა.

პოლიტსკოლების ახალი სახელმძღვანელო

პოლიტსკოლა პარტიული განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი რგოლია. იგი განკუთვნილია იმ კომუნისტებისათვის, რომლებიც დაუფლებული არ არიან პოლიტიკური ცოდნის მინიმუმს.

ჩვენს რესპუბლიკაში წელსაც ბევრია შექმნილი პოლიტსკოლები, მაგრამ პროპაგანდისტებს და მსმენელებს აქამდე ხელი ეშლებოდათ იმით, რომ ჯერ კიდევ არ ქონდათ ახალი სახელმძღვანელო, წინანდელი სახელმძღვანელო კი მოძველებულია და ვერ უპასუხებს იმ ამოცანებს, რომლებიც პარტიის XX ყრილობამ დასახა.

ამას წინათ რუსულ ენაზე მასობრივი ტირაჟით გამოვიდა პოლიტსკოლების ახალი სახელმძღვანელო სახელწოდებით — „პოლიტსკოლების მსმენელთა დასახმარებლად". იგი უკვე მიღებულია თბილისში და იყიდება წიგნის მაღაზიებსა და კიოსკებში, ასევე გაგზავნილია ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

წიგნი დაწერილია გასაგები, პოპულარული ენით. შედგება 11 თავისაგან. ყოველი თავის დასასრულს მოთავსებულია მოკლე დასკვნები, რაც კარგია გასამეორებლად და წაკითხულის მეხსიერებაში აღსადგენად.

თვითეულ თავში მოთავსებულია საილუსტრაციო ფაქტები, სტატისტიკური მონაცემები, დიაგრამები, ცხრილები და სხვ., რაც მასალას ადვილად შესათვისებელს და ადვილად დასახსომებელს ხდის. ეს წინა სახელმძღვანელოში არ იყო.

პირველი თავი, რომელსაც 62 გვერდი აქვს დათმობილი, გასაგები ენით მოგვითხრობს კლასებზე და კლასობრივ ბრძოლებზე მეფის რუსეთში. აქ გაშუქებულია შემდეგი ძირითადი საკითხები: მარქსიზმ-ლენინიზმი კლასობრივ წინააღმდეგობათა და კლასობრივი ბრძოლების შესახებ, რუსეთში კაპიტალიზმის განვითარება და მუშათა მოძრაობა, ბოლშევიკური პარტია მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის სათავეში. ეს თავი მთავრდება 1917 წლის თებერვლის რევოლუციით.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუცია — ასეთია მეორე თავის თემა. წიგნი მოგვითხრობს იმ უდიდესი რევოლუციური მუშაობის შესახებ, რასაც ბოლშევიკები დიდი ლენინის მეთაურობით ეწეოდნენ პროლეტარული რევოლუციის მოსამზადებლად და განსატარებლად, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისათვის, სამოქალაქო ომში ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების განადგურებისათვის.

შემდეგი სამი თავის თემები ასეთია: სსრ კავშირში სოციალიზმის აშენება; საბჭოთა სოციალისტური საზოგადოება; საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო. აქ მთავარი ადგილი აქვს დათმობილი იმ უდიდეს მუშაობას, რომელსაც კომუნისტური პარტია ეწეოდა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შესაქმნელად, ქვეყნის გარდასაქმნელად, სოციალიზმის ასაშენებლად. დაწვრილებით არის მოთხრობილი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაზე, კულტურულ რევოლუციაზე, საბჭოთა საზოგადოებასა და სახელმწიფოზე.

მსმენელი, პროპაგანდისტი, მკითხველი ბევრ საინტერესო მასალას იპოვნის მეექვსე თავში, რომლის თემაა საბჭოთა ხალხის ერთიანი ოჯახი. მასში მოთხრობილია კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის შესახებ. მოკავშირე რესპუბლიკების შექმნა, სსრ კავშირის ხალხების დიდი წარმატებები, ხალხთა მეგობრობა როგორც საბჭოთა კავშირის ძლიერების წყარო — აი რა ძირითად საკითხებს აქვს დათმობილი მთავარი ყურადღება.

მომდევნო თავი ასეთია: კომუნისტური პარტია საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა. იგი მოიცავს ისეთ ძირითად საკითხებს, როგორიც არის: კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის ბელადია, რაში მდგომარეობს კომუნისტური პარტიის ძალა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდება პარტიული ცხოვრების ურღვევი კანონია.

მერვე თავი დათმობილი აქვს საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომს. ამ თავში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ მზადდებოდა და დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, ფაშისტური გერმანიის ვერაგული თავდასხმა საბჭოთა კავშირზე, ლაპარაკია ფაშისტური გერმანიის და იმპერიალისტური იაპონიის განადგურებაზე. მასში აგრეთვე მოცემულია მასალები საბჭოთა კავშირის გამარჯვების წყაროებზე, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ როლზე ძლიერი და ვერაგი მტრის — ფაშისტური გერმანიის განადგურების საქმეში.

შემდეგი თავი — საბჭოთა კავშირი მშვიდობის, დემოკრატიის და სოციალიზმის დასაყრდენია — მარტივად და გასაგებად მოგვითხრობს მეორე მსოფლიო ომის შემდეგდროინდელი საერთაშორისო მდგომარეობის, ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში სახალხო დემოკრატიული წყობილების გამარჯვების, სოციალიზმის მსოფლიო სისტემად გადაქცევის შესახებ. აქ ახლებურად არის გაშუქებული თანამედროვეობის აქტუალური საკითხები. ნათლადაა ნაჩვენები საბჭოთა კავშირის ბრძოლა მშვიდობისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

პროპაგანდისტები, მსმენელები, მკითხველები სოციალისტური მშენებლობის შესახებ დიდ მასალას იპოვნიან მეათე თავში. აქ აღნიშნულია ის უდიდესი შემოქმედებითი მუშაობა, რომელიც საბჭოთა ხალხის მიერ გაწეულია ომისშემდგომ ხუთწლედებში. დაწვრილებით გაშუქებულია მეექვსე ხუთწლიანი გეგმის ამოცანები და მისი შესრულებისათვის ბრძოლა.

მეთერთმეტე თავით — ჩვენი მიზანი კომუნიზმია — მთავრდება სახელმძღვანელო. ამ თავში მარქსისტულ-ლენინური დებულებებით განსაზღვრულია კომუნისტური საზოგადოების ძირითადი ნიშნები, მოთხრობილია, თუ რა თანმიმდევრულად ხორციელდება ჩვენში სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა.

პოლიტსკოლის პროპაგანდისტებისა და მსმენელების გარდა ეს წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს პარტიული განათლების სხვადასხვა წრეების, სკოლებისა და სემინარების პროპაგანდისტებსა და მსმენელებს, მკითხველთა ფართო მასებს. საჭიროა პოლიტსკოლების ეს ახალი სახელმძღვანელო რაც შეიძლება მალე გამოიცეს ქართულ ენაზე.

კ. ჯოხიძე.

ხალხთა ლენინური მეგობრობის დროშით

ფართოვდება დაღისტნელ და ქართველ კოლმეურნეთა სოციალისტური შეჯიბრება

ДАГЕСТАНСКАЯ ПРАВДА

ორმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც დაიწყო ორი მოძმე რესპუბლიკის — დაღისტნისა და საქართველოს კოლმეურნეთა სოციალისტური შეჯიბრება. ამ შეჯიბრებამ კარგი ნაყოფი გამოიღო. იგი დღითიდღე ფართოვდება და ხელს უწყობს ორი მოძმე რესპუბლიკის კოლმეურნეთა მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

იწვევდნენ რა სოციალისტურ შეჯიბრებაში დაღისტნის ასს რესპუბლიკის გუნიბის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებს, საქართველოს სსრ დუშეთის რაიონის კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის მექანიზატორები და სპეციალისტები მოუწოდებდნენ გაეიდიდებინათ პირუტყვის სულადობა, ვადამდე შეესრულებინათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა გეგმები. გუნიბის რაიონის მშრომელები აქტიურად ჩაებნენ შეჯიბრებაში. ორი წლის განმავლობაში ორივე რაიონის მეცხოველეები ნახულობდნენ ერთმანეთს, ამოწმებდნენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილებას.

ამ გვერდში, რომელიც მოამზადა სკკპ დაღისტნის საოლქო კომიტეტის ორგანომ გაზეთმა „დაგესტანსკაია პრავდამ", მოთავსებულია გუნიბის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა წერილები. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, მწყემსები, მწველავები, მეხბორეები ლაპარაკობენ იმის შესახებ, თუ როგორ აღწევენ ისინი წარმატებებს შრომაში, ლაპარაკობენ თავიანთ გამოცდილებაზე მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებაში.



სოფელ ჭოხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის ყოფილი ბრიგადირი, ამჟამად პენსიონერი, ლენინის ორდენოსანი ო. პაკლოვი (ზემოთ) და ამავე კოლმეურნეობის სარძეო-სასაქონლო ფერმის გამგე ი. ჭუსეინოვი.

„ძროხას რძე ენაზე აქვს"

ხალხური ანდაზაა „ძროხას რძე ენაზე აქვსო" და ეს სწორიც არის. მეტი რძე რომ მივიღოთ, უწინარეს ყოვლისა საჭიროა პირუტყვი კარგად გამოვკვებოთ. მუდამ ვცდილობ, რომ ძროხებს, რომლებსაც მე ვუვლი, მუდამ უხვად ჰქონდეთ საკვებიც და სასმელიც.

წვნიანი და კონცენტრირებული საკვების სიუხვე, მისი სწორად ხარჯვა საშუალებას გვაძლევს მუდმივად ვამაღლოთ პირუტყვის პროდუქტიულობა. ავიღოთ მაგალითისათვის ჩემი ჯგუფის ძროხა, რომელსაც „ჯუნპარი" ეწოდება. ზამთარ-ზაფხულ დღეღამეში იგი 10-15 ლიტრ რძეს იძლევა. დანარჩენი შვიდი ძროხაც არ იწველის ნაკლებს. 1 ოქტომბრისათვის თვითეულმა მათგანმა მომცა 3.181 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.000 ლიტრისა.

პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლებას ხელს უწყობს ფერმაში შრომის სწორი ორგანიზაცია, აგრეთვე შრომადღეების დროულად დარიცხვა. პუნქტში ჩაბარებულ ყოველ 100 ლიტრ რძეზე მწველავს ერიცხება 1,2 შრომადღე, ხოლო სახბორეში ჩაბარებულ თვითეულ ხბოზე — 12 შრომადღე.

პირველ დღეებში ხბოებს უხვად ვაძლევ ხსენს. მათ ხელზე ვკვებავ დღეღამეში 4-5-ჯერ. შემდეგ რძეს ვაძლევ 3-4-ჯერ. ათი დღის ასაკამდე ხსენით ვკვებავ, შემდეგ რაციონში შემაქვს მინერალური საკვები და მოუხდელი რძე. თვენახევრის-ორი თვის გასვლის შემდეგ საკვებში თანდათანობით ვუმატებ თივას, კონცენტრატებს, სილოსს და სხვა საკვებს. ამიტომ, როგორც წესი, ყოველწლიურად თითო ძროხაზე თითო ხბოს ვინარჩუნებ. განვლილი სამეურნეო წლის მანძილზე რვა ძროხაზე საერთო ჯოგს შევმატე „დაღისტნური წაბლას" ჯიშიანი ჯგუფის 9 ჯანსაღი ხბო.

ახალი სამეურნეო წლის დამდეგს ყველა მწველავმა გადიდებული ვალდებულება იკისრა. კერძოდ მე პირობას ვიძლევი სულ მცირე 3.500 ლიტრი რძე მივიღო თვითეულ ძროხაზე და ამ ვალდებულებას აუცილებლად შევასრულებ.

მაისარათ კადიროვა,
სოფელ ჭოხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი.

ასი ხბო 90 ძროხაზე

„დაღისტნური წაბლას" ჯიშის ძროხები ყოველწლიურად კარგ ჯანსაღ ნამატს იძლევიან. მაგალითად, იმ ჯგუფში, რომელსაც მწველავი ამინათ ახმედოვა უვლის, ძროხებმა „მარუულამ", „ავაცავამ", „ალინამ" ორ-ორი ხბო მოიგეს. საერთოდ ფერმაში შარშან 90 ძროხაზე მივიღეთ და შევინარჩუნეთ 100 ხბო.

როგორ მივაღწიეთ ასეთ შედეგებს? მხოლოდ პირუტყვის კვებისა და მოვლის გაუმჯობესებით. მწველავებისაგან ხბოებს მე ვიღებ მოგებიდან 15 დღის განვლის შემდეგ. მათ ვზრდი 6 თვის ასაკამდე. ფერმაში გამოყენებულია ხელზე კვება, ამასთან ხბოს ეძლევა თბილი რძე.

მთელ ძალღონეს ვიხმარ რომ არ მექნეს მოზარდეულის დანაკარგი, გავზარდო იგი ჯანსაღად.

ფ. დაციევა,
სოფელ ჭოხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის № 1 სარძეო-სასაქონლო ფერმის მეხბორე.

ავამოქმედეგთ ყველა რეზერვს

სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ჩვენმა კოლმეურნეებმა წამოაყენეს ძვირფასი წინადადებები, რომელთა განხორციელება ხელს შეგვიწყობს უფრო სწრაფად განვავითაროთ მეცხოველეობა, ავამაღლოთ მისი პროდუქტიულობა. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ პირუტყვის ჯიშიანობის გაუმჯობესებას, იმას, რომ უზრუნველყოთ ცხოველები მრავალნაირი საკვებით და კარგი ბინებით. ამ საქმეში კოლმეურნეობის გამგეობამ ერთგვარ წარმატებებს მიაღწია. მეცხოველეობის განვითარების გეგმა მომდინარე წლის პირველი ოქტომბრისათვის შესრულებული იყო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხაზით — 112 პროცენტით, ცხვრის ხაზით — 119 პროცენტით. 1954 წელს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებული იყო საშუალოდ 593 კილოგრამი რძე, განვლილ სამეურნეო წელს კი — 1.268 კილოგრამი, ესე იგი წველადობა გაიზარდა ერთიორად და უფრო მეტად. გასულ სამეურნეო წელს თვითეულ ცხვარზე მივიღეთ ერთი კილოგრამით მეტი მატყლი, ვიდრე 1954 წელს. ამ პერიოდში მარტო სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარებით მიღებული შემოსავალი გაიზარდა 3,7-ჯერ.

ჩვენი წარმატებების მოპოვებაში დიდ როლს ასრულებს სოციალისტური შეჯიბრება. პარტიული ორგანიზაცია და არტელის გამგეობა კონტროლს უწევენ და მუდამ თვალყურს ადევნებენ იმას, რომ ქართველ მეცხოველეებთან შეჯიბრებაში ნაკისრი ვალდებულებები სრულდებოდეს.

რ. რამაზანოვი,
სოფელ ბუხტის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

★

ვამაღლებთ პირუტყვის პროდუქტიულობას

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქ მახაჩკალაში მუშაობს რესპუბლიკური სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელზეც კოლმეურნეობებმა, მეცხოველეობის ფერმებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გამოიტანეს თავიანთი შრომის ნაყოფი. ჩვენი კოლმეურნეობიდან სხვა მეცხოველეებთან ერთად მეც ვიღებდი მონაწილეობას გამოფენაში. რა მაჩვენებლები მქონდა? გასულ სამეურნეო წელს ჩვენი ბრიგადა უვლიდა 1000 დედაცხვარს, რომლებიდანაც შენარჩუნებულია 1.150 ბატკანი. თვითეულ ცხვარზე მივიღეთ 3,5 კილოგრამი მატყლი. ამას ჩვენ მივაღწიეთ იმით, რომ დროზე უზრუნველვყავით კარგი მოვლა, ვიცავდით ყველა ზოოტექნიკურ და ვეტერინარულ წესს, უხვად ვაძლევდით პირუტყვს სხვადასხვანაირ საკვებს.

მე მინდა დუშელ მეგობრებს გავუზიარო ერთი სიახლე, რომელიც თანდათანობით ინერგება ჩვენი მწყემსების მუშაობის პრაქტიკაში. გასულ სამეურნეო წელს ჩვენს ბრიგადაში ცდის სახით ჩავატარეთ ნაადრევი დადოლიანება. ამისათვის 150-მდე ცხვარი დაწესებულ ვადამდე რამდენადმე ადრე იქნა დათესლილი. დედაცხვრების დადოლიანება მოხდა იანვარ-თებერვალში, ესე იგი 2-3 თვით ადრე და მივიღეთ არც თუ ცუდი ნამატი. ამან საშუალება მოგვცა მოზარდი ცხვარი გაგვეპარსა შუა სექტემბერში (ჩვეულებრივ მოზარდ ცხვარს ჩვენ არ ვპარსავდით). თვითეულ სულზე საშუალოდ მივიღეთ 2,2 კილოგრამი კარგი მატყლი.

როგორც ხედავთ, პირველმა ცდამ კარგი ნაყოფი გამოიღო. ახალ სამეურნეო წელს ჩვენს მეცხრე ბრიგადაში ნაადრევ დადოლიანებაზე გაცილებით მეტი რაოდენობით დავაყენებთ ცხვარს. როგორც შედეგები გვიჩვენებს, ამ ღონისძიების განხორციელება ადიდებს მატყლის საერთო გამოსავალს.

ჩვენ, მეცხრე ბრიგადის მწყემსებმა, ამოცანად დავისახეთ ახალ სამეურნეო წელს ყოველ 100 დედაცხვარზე შევინარჩუნოთ 120 ბატკანი და თვითეულ ცხვარზე მივიღოთ სულ მცირე 3,8 კილოგრამი მატყლი. ნაკისრ ვალდებულებებს ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ.

აბდულატიპ გამზალოვი,
სოფელ სუღრათლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის უფროსი მწყემსი.

★ ★ ★

ენერგიული შრომის ნაყოფი

სურათზე: სოფელ სუღრათლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ძროხები საძოვარზე.
ფოტო ნ. დოროფეევისა.

ჩვენი კოლმეურნეობის მეცხოველეები დიდ ყურადღებას აქცევენ პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლების საკითხებს. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე გასულ სამეურნეო წელს მივიღეთ 1.570 კილოგრამი რძე. პირველ ბრიგადაში, სადაც უფროს მწველავად ფატიმათ ვიცოვა მუშაობს, ძროხის სამუალო წველადობა 1.750 კილოგრამს შეადგენს. კოლმეურნეობის საუკეთესო მწველავებმა გაცილებით უფრო მეტი რძე მიიღეს. მაგალითად, ამინათ დაგნილოვამ, რომელიც 10 ძროხას უვლის, თვითეულ ძროხაზე მიიღო 2.035 კილოგრამი რძე. მას ცოტათი ჩამორჩებიან მწველავები ზაგიდატ კიჩევა, ფატიმათ ჰასანჰუსეინოვა, ჯავგარათ დიბიროვა, პატინა იბრაჰიმოვა და სხვები. ხბოების შენარჩუნებისა და წველადობის გეგმის გადაჭარბებისათვის სარძეო ფერმის მწველავები დამატებითი ანაზღაურების წესით მიიღებენ 22 ხბოს და 22 ათას კილოგრამზე მეტ რძეს.

როგორ ვაღწევთ წველადობის გადიდებას? ჯერ-ერთი, ჩვენი მეცხოველეები დაბეჯითებით მუშაობენ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის. ყოველწლიურად უმჯობესდება ჩვენი ძროხების ჯიში. მთებში ახლა გაუმჯობესებული ჯიშის ძროხები გვაძლევენ 200-250 კილოგრამით მეტ რძეს, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული, ხოლო დაბლობში მათი წველადობა გაიზარდა 800 კილოგრამით.

მაგრამ მარტო ამით როდი აიხსნება ძროხების პროდუქტიულობის ამაღლება. განვლილ სამეურნეო წელს ჩვენ მნიშვნელოვანი მუშაობა გავწიეთ პირუტყვის მოვლისა და შენახვის გაუმჯობესებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ საკვებ ბაზას. დავამზადეთ და მეცხოველეობის ფერმებთან მივზიდეთ 6 ათას ტონაზე მეტი უხეში საკვები. მოვიმარაგეთ 1.500 ტონა წვნიანი საკვები, 100 ტონა კონცენტრატი.

კოლმეურნეობა ყოველწლიურად სულ უფრო მეტ სტანდარტულ ბინებს აშენებს მეცხოველეობისათვის. მარტო 1956 წელს აგებულ იქნა ახალი საძროხე 50 სულისათვის, სახბორე 80 სულისათვის, ორი ფარეხი, მარცვალშესანახი, 11 სასილოსე ნაგებობა, რომელთა ტევადობაა 800 ტონა. მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოებია გათვალისწინებული შემდგომი წლისათვის. გარდა მეცხოველეობის შენობებისა, აგებულ იქნება ორი საბავშვო ბაგა, აბანო, წყალსადენი და ა. შ.

ჩვენი კოლმეურნეობის მწყემსებმა ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ ცხვრების კარგი მოვლით გაეიდიდებინათ მატყლის გამოსავალი. მათ გამოიყენეს ძოვების შენაცვლებითი სისტემა. სანამ ცხვრები არ გაძღებიან, მათ არ მორეკავენ ფარეხთან. მწყემსები არ უშვებდნენ მატყლის გაჭუჭყიანებას, ცხვრებს აძოვებდნენ იქ, სადაც არ არის ეკლებიანი ბუჩქები. ამან შესანიშნავი შედეგი გამოიღო. სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარებით კოლმეურნეობამ მიიღო 4 მილიონი მანეთი. სუფთა მატყლის გამოსავალმა შეადგინა 56 პროცენტი, რაც ჩვენს პირობებში საუკეთესო მაჩვენებელია.

ითვალისწინებს რა, რომ მეცხოველეობის განვითარების წარმატება ძირითადად დამოკიდებულია ადამიანებზე, არტელის გამგეობა და პარტიული ორგანიზაცია ახორციელებენ დიდ ღონისძიებებს, რათა კარგი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები შეუქმნან მეცხოველეობის მუშაკებს. სამომთაბარო საზამთრო საძოვრებზე მარტო მიმდინარე წელს აგებულ იქნა სამი საცხოვრებელი სახლი მწყემსებისათვის და 15-საწოლიანი საავადმყოფო. მოწყობილია საზოგადოებრივი კვება. არის 4-ათასწიგნიანი ბიბლიოთეკა. თვითეულ ბრიგადაში არის წითელი კუთხეები, რადიომიმღებები. მეცხოველეები იღებენ ახალ გაზეთებსა და ჟურნალებს. ჩვენ შემდეგშიც შევეცდებით უკეთ დავაკმაყოფილოთ მწყემსების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნები, ვინაიდან ბევრი რამ არის დამოკიდებული მწყემსებზე.

მოძმე რესპუბლიკების ორი რაიონის შეჯიბრება დიდ ნაყოფს გვაძლევს. ჩვენ ერთმანეთისაგან ვსწავლობთ, ვავლენთ ნაკლოვანებებს, ვეხმარებით ერთმანეთს ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში. ჩვენს წარმატებებში წილი მიუძღვით ჩვენი ქართველი მეგობრების შრომასაც.

ჰაჯი მუსაევი,
სოფელ სუღრათლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.



სურათზე: გუნიბის რაიონული ცენტრის საერთო ხედი.
ფოტო ი. შეველიოვისა.

სოციალისტური შეჯიბრების ძალა

განვლილმა სამეურნეო წელმა დაღისტნის ასს რესპუბლიკის გუნიბის რაიონში მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის ნიშნით ჩაიარა. ჩვენს მეცხოველეებს შეგნებული ჰქონდათ იმ ამოცანების სიდიადე, რომლებიც ყრილობამ დაგვისახა სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების, განსაკუთრებით სოზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის გადიდებისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლების დარგში. ამიტომაც ისინი ძალასა და შრომას არ ზოგავდნენ მათი წარმატებით განხორციელებისათვის. ამაში დიდი როლი შეასრულა შეჯიბრებამ ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებსა და საქართველოს სსრ დუშეთის რაიონის მეცხოველეთა შორის.

მთის რაიონებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში წველადობის გადიდების მხრივ გუნიბის რაიონმა პირველი ადგილი დაიკავა რესპუბლიკაში. 1955 წლის 1 ოქტომბრიდან 1956 წლის 1 ოქტომბრამდე რაიონში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მივიღეთ 1.141 კილოგრამი რძე. ეს იმას ნიშნავს, რომ წინა წელთან შედარებით თვითეულმა ძროხამ მოგვცა 110 კილოგრამით მეტი რძე. პირუტყვის წველადობის გადიდებაში მაღალი მაჩვენებლებისათვის ჩვენს რაიონს მიენიჭა სკკპ დაღისტნის საოლქო კომიტეტისა და დაღისტნის ასსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

განსაკუთრებით კარგად იმუშავეს სოფელ ჭოხის სტალინის სახელობის და სოფელ სუღრათლის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელების მეცხოველეებმა. ჩვენმა მწველავებმა და მწყემსებმა, რომლებიც ეჯიბრებიან საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლების ჩოხისა და მაქართის სოფლის მეურნეობის მშრომელებს, წველადობის დიდ ამაღლებას მიაღწიეს. სოფელ ჭოხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში თვითეულ ძროხაზე მიღებულია 2.163 კილოგრამი რძე, სოფელ სუღრათლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში — 1.570 კილოგრამი.

წველადობაში მაღალი მაჩვენებლებისათვის ჩვენი რაიონის 22 მწველავს მიენიჭა „დაღისტნის ასს რესპუბლიკის საუკეთესო მწველავის" წოდება და გადაეცა ძვირფასი საჩუქრები.

იბრძვიან რა დუშელებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის, რაიონის კოლმეურნეობებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მატყლის მიღებაში. განვლილ სამეურნეო წელს სულ მიღებულ იქნა 234.763 ცენტნერი მატყლი, ესე იგი 170 ცენტნერით მეტი წინა წელთან შედარებით. საერთოდ რაიონში საგაზაფხულო პარსვის დროს თითო ცხვარზე საშუალოდ მივიღეთ 2,5 კილოგრამი მატყლი. ცალკეულ კოლმეურნეობებში კიდევ მეტი მიიღეს: სოფელ ჭოხის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელში მიიღეს 2,9 კილოგრამი, ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში 2,9 კილოგრამი, სოფელ ბუხტის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში — 2,41 კილოგრამი. მწყემსების ბევრ ბრიგადაში მატყლის საგაზაფხულო ნაპარსი თითო ცხვარზე 3 კილოგრამს აღემატება. ასეთებს ეკუთვნიან მელიქოვის ბრიგადა ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში, აშურლაევის, ჯაფაროვის ბრიგადები სოფელ ბუხტის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში.

მეცნიერთა და მოწინავე მეცხოველეთა ხანგრძლივი ერთობლივი მუშაობის შემდეგ სოფელ ჭოხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში გამოყვანილია მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ახალი ჯიშიანი ჯგუფი სახელწოდებით „დაღისტნური წაბლა". ამ ჯგუფის ძროხის პროდუქტიულობა სამნახევარ-ოთხჯერ უფრო მეტია, ვიდრე პირვანდელი მთის ჯიშისა. ამასთან ახალი საჯიშე ჯგუფის ძროხები კარგად შეეგუენ დაღისტნის მთების სპეციფიკურ პირობებს.

ამ კოლმეურნეობის № 1 საჯიშე ფერმაში, სადაც მოთავსებულია „დაღისტნური წაბლას" ჯიშის ძირითადი სულადობა, შექმნილია სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკების, მოწინავე მწველავების, მეხბორეების, მწყემსების შეწყობილი კოლექტივი. ისინი თავიანთი პატიოსანი და კეთილსინდისიერი მუშაობით ყოველწლიურად ადიდებენ წველადობას, აღწევენ ცოცხალი წონისა და ნამატის ზრდას. მათ შორის უნდა აღინიშნოს ფერმის გამგე იბრაჰიმ ჰუსეინოვი, რომელიც 25 წელზე მეტია აქ მუშაობს.

ახორციელებს რა სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ჩვენმა რაიონმა კარგ მაჩვენებლებს მიაღწია მემინდვრეობაშიც. ერთი წლის განმავლობაში რაიონში ათვისებულია 916 ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწა, რამაც 400 ჰექტარზე მეტით გაადიდა ისეთი ძვირფასი მარცვლეული და საფურაჟო კულტურის ფართობი, როგორიც სიმინდია. უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მებაღეობისა და მევენახეობის, როგორც სოფლის მეურნეობის მაღალმოსავლიანი დარგების განვითარებას. კოლმეურნეებმა ამოცანად დაისახეს 10 წლის განმავლობაში გააშენონ 135 ათასი ჰექტარი ახალი ვენახი და ხეხილი, გადააქციონ დაღისტანი ბაღებისა და ვენახების რენპუბლიკად. ამ გრანდიოზულ საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებენ გუნიბის რაიონის კოლმეურნეობათა მშრომელები. მარტო გასულ წელს და მომდინარე წლის გაზაფხულზე გაშენდა 333 ჰექტარი ხეხილი და 50 ჰექტარი ვენახი.

ითვალისწინებდნენ რა, რომ პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლების მთავარი და გადამწყვეტი პირობა კარგი კვებაა, რაიონის კოლმეურნეობებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. მომდინარე წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობის მიხედვით დამზადებულია უხეში საკვები 108,9 პროცენტი, წვნიანი საკვები — 101,1 და კონცენტრატები — 197,1 პროცენტი. კოლმეურნეობებმა დიდი მუშაობა გასწიეს მეცხოველეობის ახალი შენობების აგებისა და ძველი შენობების რემონტის დარგში. პირუტყვის სადგომების, სასილოსე ნაგებობების, მწყემსთა ბინების მშენებლობის გეგმები დიდი გადაჭარბებით არის შესრულებული.

მეცხოველეობის განვითარებაში ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები, რომლებიც უახლოეს დროში უნდა გამოვასწოროთ.

გუნიბის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები მთელ თავიანთ ძალებს მოახმარენ იმას, რომ ვადამდე შეასრულონ სკკპ XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანები.

უ. ულუბიევი,
სკკპ გუნიბის რაიკომის მდივანი.

რას გვასწავლის მოწინავეთა გამოცდილება

მინდა შევჩერდე იმაზე, თუ როგორ შეასრულა ჩვენმა არტელმა ის ვალდებულებები, რომლებიც მან აკისრა სოციალისტურ შეჯიბრებაში საქართველოს სსრ დუშეთის რაიონის სოფელ ჩოხის ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებთან. მომდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა უნდა აგვეყვანა 1.000-მდე, ცხვრისა — 20 ათასამდე, ღორისა—50 სულამდე. ყველა ვალდებულება გადაჭარბებით არის შესრულებული. ახლა ჩვენ გვყავს 1.359 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 31 ათასამდე ცხვარი, 93 ღორი, მაგრამ ვერ მივაღწიეთ დასახულ მაჩვენებელს ძროხის სულადობის გადიდებაში. ნაცვლად 400 ძროხისა, როგორც ეს გათვალისწინებული იყო ვალდებულებით, გვყავს 311.

დიდად არის გადაჭარბებული ვალდებულებანი ახალი მიწების ათვისების, სასუქის შეტანის, ახალი ბაღებისა და ვენახების გაშენების დარგში. მაგალითად, გასულ წელს გავაშენეთ 30 ჰექტარი ვენახი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2 ჰექტარისა. ახალ სამეურნეო წელსაც დიდი ყურადღება ექცევა მებაღეობისა და მევენახეობის განვითარებას.

გასული სამეურნეო წლის დამდეგს ჩვენმა მწველავებმა ვალდებულება იკისრეს საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიეღოთ 2.000 ლიტრი რძე. მეცხოველეთა ბეჯითი შრომით ეს ვალდებულება გადაჭარბებით იქნა შესრულებული. თვითეულ ძროხაზე მიღებულია 2.163 ლიტრი რძე. ყველაზე უკეთეს მაჩვენებლებს არა მარტო ჩვენს კოლმეურნეობაში, არამედ მთელ რაიონში მიაღწიეს იმ სარძეო-სასაქონლო ფერმის მუშაკებმა, რომელსაც იბრაჰიმ ჰუსეინოვი განაგებს. აქ შემოღებულია დღის ზუსტი განაწესი, რაც მწველავებს საშუალებას აძლევს მაღალნაყოფიერად იშრომონ, სწორად მოაწყონ თავიანთი დასვენება. კარგად არის დაყენებული პირუტყვის კვება და შენახვა. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ ფერმაში ყოველწლიურად იზრდება წველადობა. თუ 1954 წელს თვითეულ ძროხაზე მივიღეთ 2.000 ლიტრი რძე, 1955 წელს — 2.300 ლიტრი, გასულ სამეურნეო წელს თვითეული ძროხის საშუალო წველადობა ავიდა 2.635 ლიტრამდე. წველადობის გეგმა ყველა მწველავმა გადაჭარბებით შეასრულა. დაღისტნის ასს რესპუბლიკის საუკეთესო მწველავმა, 1955 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილემ, კომკავშირელმა საადთ ზაქარიევამ საშუალოდ ერთ ძროხაზე მოწველა 3.100 ლიტრი რძე. იგი დამატებითი ანაზღაურების სახით იღებს ათას ლიტრზე მეტ რძეს.

ზამთრისათვის კარგად მოვემზადეთ. გადაჭარბებით არის შესრულებული უხეში და წვნიანი საკვების დამზადების გეგმები. დამთავრდა პირუტყვის ერთი სადგომის, ორი ფარეხის, საფრინველის, საჯინიბოს, საცხოვრებელი სახლის, ხელოვნური დათესვლის პუნქტის მშენებლობა. ყველა პირობაა შექმნილი პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრებისათვის.

ი. ისლამოვი,
სოფელ ჭოხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.



სურათზე: სოფელ ჭოხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სარძეო-სასაქონლო ფერმის წითელი კუთხე. აგიტატორი მ. აბდურახმანოვი (ცენტრში) ესაუბრება კოლმეურნეებს.
ფოტო ნ. დოროფეევისა.

გენერალური ასამბლეის XI სესია

ახალი ცდები გამოიყენონ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უნგრეთის საშინაო საქმეებში ჩასარევად

ნიუ-იორკი, 11 დეკემბერი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით ქვეყნების ჯგუფის წარმომადგენელთა დაჟინებით გენერალური ასამბლეა კვლავ ჩამოაშორეს იმ დიდმნიშვნელოვანი საკითხების განხილვას, რომლებიც მის დღის წესრიგშია. ნაცვლად იმისა, რომ დაწყებულიყო ამ საკითხების განხილვა, როგორც წინათ იყო ნავარაუდევი, ამერიკის დელეგაციამ წამოიწყო მორიგი ხმაური ეგრეთწოდებული უნგრეთის საკითხის გარშემო. ამ მიზნით ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ მისი მორჩილი 15 დელეგაციის მხარდაჭერით კვლავ შეიტანა რეზოლუციის ახალი პროექტი, რომელიც უნგრეთის ამბებს ყალბად ხატავს. უნგრეთში კონტრრევოლუციური ავანტიურის ჩაფუშვასთან დაკავშირებით რეზოლუციის პროექტის ირგვლივ კვლავ ცდილობენ ჩაერიონ უნგრეთის საშინაო საქმეებში და საბჭოთა კავშირთან მის ურთიერთობაში. ისინი ერთხელ კიდევ დაჟინებით მოითხოვენ უნგრეთში გაიგზავნონ „მეთვალყურენი“ და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკიდან გაყვანილ იქნან საბჭოთა ჯარები, რომლებიც, როგორც ცნობილია, იქ იმყოფებიან ვარშავის ხელშეკრულებისა და ორივე ქვეყანას შორის დადებულ შეთანხმებათა საფუძველზე.

ამერიკის პროვოკაციული რეზოლუციის მხარდასაჭერად პირველნი გამოვიდნენ ბელგიის, პერუს, იტალიის, ირლანდიის, არგენტინისა და ავსტრალიის წარმომადგენლები. მათი გამოსვლები დამყარებული იყო, უმთავრესად, ცილისმწამებლურ სტატიებზე, რომლებიც უხვად იბეჭდება ამერიკულ პრესაში. გამოამჟღავნა რა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მოწოწაალმდეგეთა მორიგი დივერსიის ნამდვილი მიზანი, პერუს დელეგატი ბელაუნდე ცდილობდა „დაემტკიცებინა“, რომ ახლა „დრო არ არის“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განხილულ იქნას ისეთი საკითხები, როგორიც არის განიარაღების პრობლემა და დაძაბულობის შენელება. ბელაუნდე, ისევე როგორც მისი კოლეგები, დაჟინებით მოითხოვდა გაიგზავნონ „მეთვალყურენი“ უნგრეთში და „დაგმობილ იქნას“ საბჭოთა კავშირი იმისათვის, რომ უნგრელ ხალხს დახმარება გაუწია ფაშისტური ჯანყიდან ჩაბრძოლა.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა ლოჯმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ „ჰაერში დაკიდებული“ დარჩა წინათ შეტანილი უკანონო რეზოლუციები, რომლებიც ასამბლეას თავს მოახვიეს შეერთებულმა შტატებმა და რომლებიც ითვალისწინებდნენ უნგრეთის საშინაო საქმეებში ჩარევას. ამ „სიფუძველზე“ მან მოითხოვა მიღებულ იქნას ამერიკის ახალი რეზოლუცია და „დაიგმოს“ საბჭოთა კავშირი. ლოჯი უტიფრად სწამებდა ცილს სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს.

უნგრეთის საკითხის გარშემო ხმაურის სარჩული და იმპერიალისტური წრეების ნამდვილი მიზნები, რომლებმაც ახალი პროვოკაციები წამოიწყეს სოციალისტური ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ, თავიანთ სიტყვებში ცხადყვეს საბჭოთა კავშირის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ვ. ვ. კუზნეცოვმა თავის სიტყვაში მოუწოდა აღკვეთონ საერთაშორისო რეაქციის ცდები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გამოყენებისა თავისი ძირგამომთხრელი მიზნებისათვის.

უკანასკნელ კვირეებში, თქვა მან, არაერთგზის ვყოფილვართ იმის მოწმენი, თუ როგორ ცდილობს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია, აგრეთვე მთელი რიგი სხვა ქვეყნების დელეგაციები გამოიყენონ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უნგრეთის საშინაო საქმეებში ყოვლად უხეში ჩარევისათვის. საღი აზრისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საწინააღმდეგოდ უნგრეთის წინააღმდეგ კამპანიის ინიციატორები თავიანთ შავბნელ საქმეს განაგრძობენ და საერთაშორისო ატმოსფეროს წამლვევნ პოლიტიკური სპეკულაციებით უნგრეთის ამბების გარშემო. სწორედ ამ მიზნებს შეესაბამება ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ახლადშეთხზული რეზოლუცია.

რა მოტივებით ხელმძღვანელობენ ისინი, განაგრძო საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, ვინც დაჟინებით ახვევს თავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოქმედებას, რომელიც ამჟამად ეწინააღმდეგება მისი წესდების ძირითად პრინციპებს? პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: ყველა ახალი პროვოკაციული რეზოლუციის ინსპირატორები, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას აქეზებენ უნგრეთის საშინაო საქმეებში ჩარევისათვის, ცდილობენ ხსნის ღუზა ჩაუგდონ უნგრეთში განადგურებული ფაშისტი მეამბოხეების ნაშთებს, გამოიწვიონ უნგრეთში ახალი არეულობა და გაართულონ უნგრეთში ცხოვრების ნორმალიზაციის პროცესი. უნგრეთის ამბების გარშემო ყიჟინს და გამალებულ ფუსფუსს საამკარაზე გამოჰყავს ისინი, ვისაც სურს დაამხოს უნგრეთის კანონიერი მთავრობა, რომელიც ზოგიერთ ქვეყანას არ ნებავს, და შეცვალოს იგი მთავრობით, რომელიც მისაღებია სახალხო-დემოკრატიული წყობილების მტრებისათვის.

მაგრამ ყველა ეს წამოწყება განწირულია ჩაშლისათვის. მშრომელმა უნგრელმა ხალხმა გაიგო, საით მიჰყავდათ იგი ფაშისტ პუტჩისტებს და მათს უცხოელ შთამგონებლებს.

შემდეგ ვ. ვ. კუზნეცოვმა აღნიშნა, რომ უნგრეთის ამბები წარმოადგენენ იმპერიალისტთა იმ ავისმომასწავებელი გეგმის რგოლს, რომელსაც გულდასმით ამზადებენ და დაჟინებით ახორციელებენ, რათა განაახლონ ცივი ომი მისი ყველაზე ცუდი ფორმებით, განაგრძონ მშვიდობის საქმისათვის საშიში „ძალის პოზიციის პოლიტიკა“.

დაწვრილებით ილაპარაკა რა იმპერიალისტთა ძირგამომთხრელ საქმიანობაზე სოციალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ, ვ. ვ. კუზნეცოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნგრეთის ფაშისტურ პუტჩში ძირითადი და გადამწყვეტი როლი შეასრულეს საერთაშორისო იმპერიალისტურმა ძალებმა, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეები ხელმძღვანელობენ.

კონტრრევოლუციური ჯანყიდან განსახორციელებლად, განაგრძო მან, უნგრეთში გადაისროლეს საერთაშორისო რეაქციის ყველა საშუალებანი. ფაქტები ადასტურებენ, რომ უნგრეთში გადაყვანილი იქნა მრავალი კარგად შეიარაღებული ფაშისტი დივერსანტი დასავლეთ გერმანიიდან და ძირგამომთხრელი საქმიანობის სხვა ბაზებიდან. ამავე დროს მნიშვნელოვნად გაძლიერდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების ცილისმწამებლური პროპაგანდისტული კამპანია სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ კონტრრევოლუციური გადატრიალება ჩაიფუშა, დღემდე გრძელდება ცდები წაქეზონ ფაშისტური იატაკქვეშეთის ნაშთები ახალი არეულობისათვის. ეგრეთწოდებული უნგრეთის საკითხის გარშემო ცილისმწამებლური კამპანიის ინიციატორები, რომლებმაც უკვე მნიშვნელოვანწილად დაარღვიეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესიის მუშაობა, არ ცხრებიან. ისინი ჩქარობენ იმიტომ, რომ დრო მათ წინააღმდეგ მუშაობს.

საბჭოთა დელეგაციას, განაცხადა ვ. ვ. კუზნეცოვმა, თავის მოვალეობად მიაჩნია გენერალური ასამბლეის ყურადღება მიაქციოს შემოტანილი რეზოლუციის პროექტის აშკარა პროვოკაციულ ხასიათს, რომლის ავტორები წინადადებას იძლევიან დაიგმოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევა, რაც თითქოს საბჭოთა კავშირმა დაუშვა. ჩვენს თვალწინ გენერალურ ასამბლეაში აწყობენ უხეშ ფარსს, რომელიც ბღალავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატივსა და ღირსებას, ძირს უთხრის მის საფუძვლებს და აქცევს სახელმწიფოთა იმ ვიწრო დაჯგუფების იარაღად, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები მეთაურობენ. შეიძლება, როცა შენს განკარგულებაშია კენჭისყრის მანქანა, თავს მოახვიო ყოველგვარი რეზოლუცია. მაგრამ რა რეზოლუციაც უნდა იქნეს დაშტამპული, ცდა დაამხონ სახალხო წყობილება უნგრეთში და იქ კვლავ ხელისუფლების სათავეში დასვან კაპიტალისტები და მემამულეები, განწირულია სრული ჩაშლისათვის, რადგან მუშებმა და გლეხებმა ცხადყვეს, რომ ისინი არ დაუშვებენ ძველი წყობილების დაბრუნებას.

საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, ხაზგასმით აღნიშნა ვ. ვ. კუზნეცოვმა, რომ ასამბლეამ უნდა დაგმოს შეერთებული შტატები სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევისათვის, ამ ქვეყნებში ძირგამომთხრელი მუშაობისათვის.

მრავალი უკანონო რეზოლუციის ავტორების ღონისძიებათა მიზანია, აღნიშნა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, რომ უნგრეთის საშინაო საქმეებში ჩარევა განახორციელონ იქ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა გაგზავნის, ამ მეთვალყურეთა ზედამხედველობით არჩევნების მოწყობის გზით. ისინი უნგრეთსა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ყველა ქვეყანას უყენებენ მოთხოვნას გააუქმონ ეს თავდაცვითი ხელშეკრულება, სურთ უნგრეთის მთავრობას აუკრძალონ დახმარებისათვის მიმართავდეს მეგობარ ქვეყნებს, მათ შორის საბჭოთა კავშირს, სურთ, რომ უნგრეთში გაგრძელდეს ქაოსი, აღდგენილ არ იქნას ნორმალური ცხოვრება. გენერალურმა ასამბლეამ უნდა დაგმოს ზოგიერთი ქვეყნის ასეთი ცდები თავიანთი ნება თავს მოახვიონ სხვა ქვეყნებს.

საბჭოთა დელეგაციამ, განაგრძო ვ. ვ. კუზნეცოვმა, უკვე დაწვრილებით ჩამოაყალიბა თავისი თვალსაზრისი იმ საკითხებზე, რომელთა უკანონოდ თავსმოხვევასაც საბჭოთა კავშირისათვის ცდილობდნენ და ცდილობენ. აქ ბევრი ილაპარაკეს უნგრეთში საბჭოთა ჯარების ყოფნაზე. ყველასათვის ცნობილია, რომ საბჭოთა ჯარები უნგრეთში იმყოფებიან იმ საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ევროპის რვა სახელმწიფომ დადო ვარშავაში თავიანთი უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით. გარდა ამისა, უნგრეთის მთავრობამ საბჭოთა მთავრობას მიმართა დახმარებისათვის კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად, სახალხო-დემოკრატიული წყობილების დასაცავად და უნგრეთში წესრიგის აღსადგენად. საბჭოთა მთავრობას, ბუნებრივია, არ შეეძლო უარი ეთქვა. სავსებით ცხადია, რომ ეს საკითხი შედის მხოლოდ და მხოლოდ ამ ხელშეკრულების დამდებ მთავრობათა კომპეტენციაში.

აგრეთვე ცნობილია, რომ საბჭოთა მთავრობამ თავის 1956 წლის 30 ოქტომბრის დეკლარაციაში განაცხადა, რომ მზად არის დაიწყოს შესაბამისი მოლაპარაკება უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასთან და ვარშავის ხელშეკრულების სხვა მონაწილეებთან უნგრეთის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების ყოფნის საკითხის შესახებ.

გასულ კვირაში, აღნიშნა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, უკვე გვქონდა შესაძლებლობა გენერალური ასამბლეის ყურადღება მიგვექცია საბჭოთა მთავრობის ცნობილი წინადადებისათვის სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე უცხოეთის ჯარების ყოფნისა და ამ ჯარების გაყვანის შესახებ. ჩვენ დღემდე არავითარი პასუხი არა გვაქვს იმითგან, ვინც აქ ასე ბევრს გაჰყვირის უნგრეთში საბჭოთა ჯარების ყოფნის შესახებ, მაგრამ ამჯობინებს დუმილს თავისი ჯარების საკუთარი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ყოფნაზე. ცხადია, რომ ახლა საქმე საბჭოთა კავშირზე კი არა, არამედ იმ სახელმწიფოებზეა, რომლებიც თავიანთ პოლიტიკას აშენებენ „ძალის პოზიციაზე“, ეყრდნობიან სამხედრო ბაზებს სხვის ტერიტორიებზე სოციალისტური ქვეყნების ახლოს, უარს ამბობენ იარონ განიარაღებისა და სახელმწიფოთა შორის სადავო საკითხების მშვიდობიანი გადაჭრის გზით.

საბჭოთა კავშირი თავის მხრივ თანმიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, ისწრაფვის მშვიდობიანად მოაწესრიგოს გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემები. იგი მზად არის დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება ყოველგვარი კონსტრუქციული წინადადების განსახილველად, რომელთა მიზანია მშვიდობის დაცვა, სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცება.

შეეხო რა რეაქციული წრეების მანევრს მეთვალყურეთა გაგზავნის შესახებ, ვ. ვ. კუზნეცოვმა აღნიშნა, რომ ეს მანევრი ნავარაუდევია იმისათვის, რომ ხელოვნურად გაღვივონ ვნებათაღელვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში „უნგრეთის საკითხის“ გარშემო, წააქეზონ დივერსანტებისა და ფაშისტების დამარცხებული ნაშთები უნგრეთში გამოსვლის ახალი ცდებისათვის. ამ მანევრის ინიციატორებს მშვენივრად ესმით, რომ მთელი წამოწყება მეთვალყურეთა გაგზავნის შესახებ მიუღებელია სუვერენული სახელმწიფოსათვის და რომ მთავრობა, რომელიც იცავს თავისი ქვეყნის სუვერენიტეტს, უარყოფს თავისი ქვეყნის საშინაო საქმეებში ასეთ ჩარევას. თუ კი ლაპარაკია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა გაგზავნაზე, მაშინ ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, კუბისა და სხვების წარმომადგენლები რატომ არ მოითხოვენ, მაგალითად, გაიგზავნონ მეთვალყურენი ალჟირში, სადაც საფრანგეთის მთავრობა ცეცხლითა და მახვილით ახშობს ალჟირელი ხალხის ეროვნულ-განთავისუფლებელ მოძრაობას, ანდა, ვთქვათ, კუბაში, სადაც დიქტატორი ბატისტა ტყვიამფრქვევებითა და ზარბაზნებით ახშობს ხალხის იპოზიციასა და მხარფაფებს თავისუფლებისადმი. მთელი რიგი ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც ფარისევლურად ასაღებენ თავიანთ თავს დემოკრატიისა და თავისუფლების დამცველებად, გულმოდგინედ უვლიან გვერდს ამ და ბევრ სხვა ფაქტს. მოქმედებენ რა რეაქციული წრეების ინტერესებისათვის, ისინი ყოველი ღონისძიებით ჩაღებენ ცილისმწამებლურ კამპანიას უნგრეთის საკითხის გარშემო. რაც შეეხება უნგრელ ხალხს, ახლა მას ესაჭიროება არა შეურაცხმყოფელი და პროვოკაციული რეზოლუციები და სიტყვები, არამედ ის, რომ არ ერეოდნენ მის საშინაო საქმეებში, მისცენ შესაძლებლობა ეწეოდეს მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას, დაეხმარონ რაც შეიძლება მალე აღადგინოს ის, რაც უნგრეთში ფაშისტმა მეამბოხეებმა დაანგრიეს.

სსრ კავშირის დელეგაციის, თქვა დასასრულ ვ. ვ. კუზნეცოვმა, თავის მოვალეობად მიაჩნია ერთხელ კიდევ მიაქციოს გენერალური ასამბლეის ყურადღება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მშვიდობის საქმისათვის იმ საშიშ შედეგებს, რომლებსაც იწვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შემდგომი გამოყენება იმ მიზნით, რომ მოახდინოს ზეგავლენა და ჩაერიოს სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში. ეს ცდები სახელმწიფოთა ჯგუფისა შეერთებული შტატების მეთაურობით — გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გამოიყენონ თავიანთი საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტად, რომელიც ანგარებითს მიზნებს ისახავს, ლაბავარს ჩასცემს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას როგორც საერთაშორისო ორგანიზაციას. პასუხისმგებლობა ამ მოქმედებისა და მისი შესაძლო შედეგისათვის მთლიანად ეკისრებათ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მათს პარტნორებს ამ საკითხში. სწორედ ისინი უნდა დაგმოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ.

სსრ კავშირის დელეგაციას მიაჩნია, რომ საჭიროა განხილვიდან მოიხსნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის ეს სამარცხვინო რეზოლუცია და გადაჭრით აღიკვეთოს ყოველგვარი ცდა გადაიყვანონ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დამდუპველი ავანტიურების გზაზე.

რუმინეთის წარმომადგენელმა მაურერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუციის მიზანი ის არის, რომ ახალი საზრდო შექმნას საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნების შესახებ სიცრუისა და ცილისწამების გასავრცელებლად. ამ საკითხზე დაბრუნება, თქვა მან, მიზნად ისახავს მსოფლიოში მდგომარეობის გამწვავებას, „ცივი ომის“ აღორძინებას.

საბჭოთა კავშირის „ჩარევის“ დამოწმების მიზანია, თქვა მაურერმა, შენიღბონ ნამდვილი ჩარევა უნგრელი ხალხის საშინაო საქმეებში, ჩარევა შეერთებული შტატების მხრივ. რუმინეთის დელეგატმა მოიყვანა ასეთი ჩარევის მთელი რიგი მაგალითები.

ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მეთაურმა ვ. დავიდმა აღნიშნა, რომ უკვე რამდენიმე კვირაა, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში და მის გარეთ წარმოებს კამპანია სიძულვილის გაღვივებისა, რაც მიმართულია როგორც უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, ისე სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. „ჩვენ მრავალგზის აღგვინიშნავს ის ფაქტი, — განაცხადა დავიდმა,— რომ ეგრეთწოდებული უნგრეთის საკითხის განხილვა არის მხოლოდ ნაწილი იმ ფართო, კოორდინირებული მოქმედებისა, რაც ხორციელდება სხვადასხვა საშუალებით, რომელთა მიზანი იყო და არის გარედან უხეში ჩარევით ხელი შეუშალონ უნგრეთისა და აღმოსავლეთ ევროპის დანარჩენი ქვეყნების ომისშემდგომ განვითარებას და ისინი ამ გზას ააცდინონ“. ამავე დროს, განაგრძო ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა, ამ კამპანიის მიზანია მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშოროს ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის აგრესიას ეგვიპტის წინააღმდეგ.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ინდოეთის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, დანიის, ესპანეთის, ფილიპინებისა და კანადის წარმომადგენლებმა.

11 დეკემბრისათვის დანიშნულია „უნგრეთის საკითხზე“ კამათის განგრძობა.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ი. ხორვატის განცხადება

ნიუ-იორკი, 11 დეკემბერი (საკდესი). გენერალური ასამბლეის დღევანდელ დილის პლენარულ სხდომაზე განცხადება გააკეთა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. ხორვატმა. მან განაცხადა: „უნგრეთის დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახლანდელ სესიაზე თავისმა მთავრობამ გამოგზავნა იმ მიზნით, რომ ეხვა სახელმწიფოებთან ერთად როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრს განეხილა ძირითადი საერთაშორისო პრობლემები.

მაგრამ ჩემი დელეგაცია აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ და მთელი რიგი იმ სხვა ქვეყნების დელეგაციებმა, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების გავლენაში არიან, თავიანთ სიტყვებში, აგრეთვე რამდენიმე რეზოლუციაში მიმართეს მთელ რიგ ცდებს ჩარეულიყვნენ უნგრეთის საშინაო საქმეებში, რაც უნგრეთის დელეგაციას თავისი მთავრობის მითითებით არაერთგზის უარუყია და მომავალშიც განუხრელად უარყოფს.

იმ დროს, როცა უნგრეთის საკითხი თითქმის განუწყვეტლივ რჩება დღის წესრიგში, მთელი რიგი დელეგაციები უხეში და სამარცხვინო ფორმით აყენებდნენ შეურაცხყოფას უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასა და მის დელეგაციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში — ისეთი ფორმით, რომელიც შეუთავსებელია უნგრეთის სუვერენიტეტთან და უნგრელი ხალხის ეროვნულ ღირსებასთან.

ამასთან დაკავშირებით უნგრეთის დელეგაცია მონაწილეობას არ მიიღებს გენერალური ასამბლეის XI სესიაში, სანამ უნგრეთის საკითხის განხილვა არ იწარმოებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების სულისკვეთებით“.

ამის შემდეგ უნგრეთის დელეგაციამ სრული შემადგენლობით დატოვა სხდომის დარბაზი.

იტალიის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობა

რომი, 11 დეკემბერი. (საკდესი). დღეს იტალიის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობაზე გრძელდებოდა კამათი გენერალური მდივნის ტოლიატის მოხსენების გამო. დელეგატმა პერნამ (რომი) ილაპარაკა კომუნისტური პარტიის პოლიტიკაზე საშუალო ფენების მიმართ და აღნიშნა, რომ ამ დარგში იყო ნაკლოვანებანი. კერძოდ, ბრძოლა საშუალო ფენების მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის არ იყო დაკავშირებული იტალიის სოციალური და ეკონომიური წყობილების გარდაქმნისათვის საერთო ბრძოლასთან.

პერნამ მოუწოდა გააფართოონ მუშაობა დედაქალაქის საშუალო ფენებში.

პარტიის ხელმძღვანელობის წევრმა სეკიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლა იტალიაში არიან ძალები, რომლებსაც უნარი შესწევთ შექმნან მშრომელი კლასების დემოკრატიული მთავრობის დამყარების პირობები. მაგრამ ამ მიზნისათვის საჭიროა ვესწრაფოდეთ ყველა მშრომელის ერთიანობას და ვეძლიერებდეთ მათს აქტივობას. ამოცანებს, რომლებსაც კომუნისტური პარტია ისახავს, მარტო კომუნისტები ვერ შეასრულებენ. ამისათვის საჭიროა სხვა კატეგორიების მშრომელების და განსაკუთრებით სოციალისტი და კათოლიკე მშრომელების აქტიური ხელშეწყობა.

სეკიამ მოუწოდა მუშათა მოძრაობის ერთიანობისაკენ.

დასასრულ სეკიამ განაცხადა, რომ იტალიელ კომუნისტთა სიმპათია საბჭოთა კავშირისადმი დამყარებულია არა მარტო იმ მნიშვნელობის აღიარებაზე, რომელიც სსრ კავშირსა და მის პარტიას ჰქონდათ წარსულში, არამედ აგრეთვე იმ უდიდესი როლის აღიარებაზე, რომელსაც ისინი ასრულებენ დღეს სოციალისტურ ბანაკსა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში.

იტალიელ ქალთა კავშირის თავმჯდომარემ როდანომ თავისი სიტყვა მიუძღვნა ქალთა საკითხს.

მან ილაპარაკა იმ მძიმე სოციალურ-ეკონომიურ პირობებზე, რომლებშიც ცხოვრობს და შრომობს იტალიელ ქალთა უმრავლესობა, რომლებიც სარგებლობენ ნაკლები უფლებებით, ვიდრე მამაკაცები.

როდანომ თქვა, რომ იტალიელ ქალთა კავშირი ჯერ კიდევ არ გამხდარა იტალიელ ქალთა დიდი, ერთიანი ორგანიზაცია. საჭიროა გაწარმოოთ ფართო ბრძოლა ქალთა უფლებებისათვის, კავშირის გარშემო გავაერთიანოთ სხვადასხვა ფენისა და რწმენის ქალები.

დელეგატმა ბრამბილამ (ქალაქი მილანი) ილაპარაკა ჩრდილოეთ იტალიაში სამრეწველო მონოპოლიების ბატონობაზე და კომუნისტური პარტიის მილანის პროვინციული კონფერენციის სახელით მოითხოვა, რომ პარლამენტის კომუნისტმა წევრებმა შეიტანონ წინადადება, რომ მოხდეს პარლამენტის მიერ მონოპოლიების საქმიანობის გამოკვლევა.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

მდგომარეობა უნგრეთში

ბუდაპეშტი, 11 დეკემბერი. (საკდესი). უნგრეთის რეაქცია თავგამოდებით ცდილობს ხელი შეუშალოს სახელმწიფოს ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობას. მშრომელთა რაც უფრო ფართო მასები უპერენ მხარს მთავრობის პროგრამას, რეაქციონერები მით უფრო უკიდურეს ღონისძიებებს მიმართავენ. დღეს ხალხის მტრებმა, რომლებიც ხელმძღვანელ პოსტებზე აღმოჩდნენ ხელისუფლების მიერ დაშლილ ეგრეთწოდებულ ბუდაპეშტის ცენტრალურ მუშათა საბჭოში, მოახერხეს პროვოკაციულად გამოეწვიათ ბუდაპეშტის მთელ რიგ საწარმოებში გაფიცვა. ჩეპელის მუშები, რომლებმაც დაგმეს დაშლილი საბჭოს მოწოდებანი გაფიცვის მოწყობის შესახებ, დადგნენ თავიანთ ჩარხებთან, მაგრამ წარმოების დეზორგანიზატორებმა ყველაფერი გააკეთეს, რაც კი შეეძლოთ, რათა ჩაეფუშათ მუშაობა.

განსაკუთრებული დაჟინებით ცდილობენ კონტრრევოლუციური ტერორისტები გამოიწვიონ ქალაქის ტრანსპორტის მუშაობის დეზორგანიზაცია და ამით ხელი შეუშალონ მუშებს მივიდნენ თავიანთ საწარმოებში. ბუდაპეშტის ბანდიტებმა ტრამვაის ერთერთი ხაზის ქვეშ შეაგდეს ასაფეთქებელი მასალა, რის შედეგადაც ტრამვაი რელსებიდან გადავარდა. სხვა რაიონში ტრამვაის მძღოლებს ავტომატები დაუშინეს.

მთელ რიგ ადგილებში ხელისუფლების ორგანოებმა დაატაბეშრეს პროვოკატორები და მესაბოტაჟეები და წესრიგს ამყარებენ. კერძოდ, ლიკვიდირებულ იქნა მესაბოტაჟეთა საქმიანობა ნავთობსახდელ ქარხანაში, რომელიც ასამბლეის 4 დეკემბრის სხდომაზე და პატივი მაქვს გაცნობოთ შემდეგი:

საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება ზსენებული რეზოლუციისადმი ჩამოყალიბებული იყო საბჭოთა დელეგაციის შესაბამის განცხადებებში გენერალურ ასამბლეაში. საბჭოთა დელეგაცია მაშინ აღნიშნავდა, რომ ეს რეზოლუცია წარმოადგენს უნგრეთის საშინაო საქმეებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეშვეობით უხეში ჩარევის ახალ ცდას და ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესების პრინციპებს და საერთაშორისო სამართლის საერთოდ მიღებულ ნორმებს.

საბჭოთა კავშირი კვლავ ამ პოზიციას იკავს.

XXIV საკავშირო პირველობის ნახევარფინალი

მეთხუთმეტე ტურში რეკორდიანი ანგარიშით დამთავრდა ორი პარტია. ორ გამმაშებულა კარპოვ-ბელიავსკი. ... ტურიდან ...

ფურმან-პეტროსიანი ყიამზე შეთანხმდნენ იმ დროს, როცა სხვა დაფებზე ჯერ კიდევ სადებიუტო ბრძოლა მიმდინარეობდა. მაყურებელთა ყურადღება კონცენტრირებული იყო კროგიუს-გურგენიძის პარტიაზე. შუა თამაშში კროგიუსმა ძლიერი ცენტრალური პაიკი მიიღო და შეტევაზე გადავიდა. გურგენიძემ მეთოდური თამაშით შეძლო მოწინააღმდეგის იერიშის უფრთხილესობა და ყიამს მიაღწია. ტალგიორგაძის პარტიაში გაიმარჯვა ტალმა. კოტკოვ-კორჩნოი, პოლუღაევსკი-ანტონინი, ხალილეველი-სახაროვი და კობლენც-ბუსლაევი ყიამზე შეთანხმდნენ. ჩუკაევ-იუხტმანის პარტია გადადებულია. სატურნირო ცხრილში გამარჯვება ჩაეწერათ გუფელს — კასპარიანთან, ზურახოვს — ვორონკოვთან.

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს ანტონინმა დაამარცხა კოტკოვი, ჩუკაევმა — იუხტმანი, ხალილეველმა — გიორგაძე. გუფელმა მოუგო სახაროვს და ყიამზე შეთანხმდა კობლენცთან.

ბუსლაევ-ტალის პარტია გადადებული იყო ბუსლაევისათვის უარეს მდგომარეობაში. გადამწყვეტ მომენტში, როცა ტალის გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა, მან დაუშვა უხეში შეცდომა და დანებდა. კობლენცს კასპარიანთან გამოტოვებულ პარტიაში მოგება ჩაეთვალა. სამი პარტია კვლავ დაუმთავრებელი დარჩა.

თხუთმეტი ტურის შემდეგ პეტროსიანს 11 ქულა აქვს, ფურმანსა და ანტონინს — ცხრა-ნახევარ-ცხრანახევარი, პოლუღაევსკისა და კობლენცს — ცხრა-ცხრა, კორჩნოის — 8,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, გურგენიძესა და კროგიუსს — რვანახევარ-რვანახევარი ქულა.

ჟ. ბოგიავა.

არევ ბაღდასარიანის გასვლები

ამჟამად თბილისში საგასტროლოდ იმყოფება სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი არევ გრიგორლის ასული ბაღდასარიანი. მას თან ახლავს ხალხური ინსტრუმენტების ანსამბლი 13 კაცის შემადგენლობით. ა. ბაღდასარიანი ანსამბლის თანხლებით ასრულებს საბჭოთა კავშირის ხალხთა და საზღვარგარეთის ქვეყნების სიმღერებსა და ცეკვებს. თბილისში ჩამოსვლამდე ანსამბლმა იმოგზაურა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში, კონცერტებმა მაყურებლებში მოწონება დიმსახურა.

თბილისში არევ ბაღდასარიანმა უკვე რამდენიმე კონცერტი გამართა — ოფიცერთა სალოქო სახლში, კულტურის ცენტრალურ სახლსა და პლეხანოვის სახელობის კლუბში. 15 და 16 დეკემბრის ოგი კონცერტებს გამართავს საქართველოს ფილარმონიის საზამთრო თეატრში.

ანსამბლი დეკემბრის ბოლო რიცხვებამდე კონცერტებს გამართავს საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში.

ა. წ. 14 დეკემბერს პოლიგრაფიულ კომბინატ „კომუნისტის“ კლუბში (ლენინის ქ. № 14, III სართული) გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციასთან არსებული პრესის კაბინეტი აწყობს ქ. თბილისის საწარმოთა კედლის გაზეთების მუშკორთა და სარედაქციო კოლეგიების წევრთა თათბირს, მიძღვნილს ძირეული პრესის ამოცანებისადმი მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

ვთხოვთ მუშკორებსა და ძირეული პრესის მუშაკებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ თათბირში.

თათბირის შემდეგ გაიმართება კონცერტი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექცია

აცხადებს კონკურსს მუზეუმის ზოოლოგიის დარგის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე. ს